ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

140
1961

პიონერი 9
1961



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ზარი

ნაზი კილასონია

ჰქუხს სექტემბრის ზარი,
იმეორებს ექო:
„ნაუ! ნაუ! ნაუ! —
დასვენება გეყოთ.

მაშ, ნახვამდის, მთებო,
ოქროსფერო მდელო!
თქვენ შეგვასხით ფრთები,
რათა გასახელოთ.

მზეს ვასწრებდით სიცილს,
არ ვისხედით უქმად.
ჩვენს ფილტვებში იწვის
წიწვნარების სუნთქვა.

გვაქვს ირმების მუხლი,
ჩანჩქერების სრბოლა.
შენი გზისკენ ვუხვევთ,
საყვარელო სკოლა!

როგორც დედის მანდილს
გნახავთ, გაიხარებ.
გვეტყვი: გამოვადგეთ
მამულს, მშობელ მხარეს.

მერე დედურ ხელით
გამოგვიღებ კარებს
და ჩამოვკრავთ ლხენით
სკოლის ლამაზ ზარებს!

ნახ. თ. სამხონაძისა

გარეკანის პირველ გვერდზე—„ახალი ერა“, პლაკატი შ. კუპრაშვილისა.

გარეკანის მეორე გვერდზე—„მხედარი“, ნახ. გ. როინიშვილისა.



ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲓᲐᲜᲘ. 1961 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. Გ. ᲢᲘᲢᲝᲕᲘ, ნ. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲓᲐ Ი. ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲜᲝᲠᲩ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი)

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ
XXXV

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ 9 1961

8455

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ სასწავლო წელს

ახალი პერსპექტივები

უკვე სამი წელია, რაც ჩვენი სკოლა ახალ პირობებში მუშაობს და ცდილობს წარმატებით განახორციელოს მის წინაშე დასმული ძირითადი ამოცანა: ერთმანეთს მტკიცედ დაუკავშიროს შრომა და სასკოლო სწავლება, ქვეყანას აღუზარდოს ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც ფართო და ღრმა ზოგად განათლებასთან ერთად სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში პრაქტიკული მუშაობის მკვიდრი ცოდნა და უნარი ექნება.

თუმცა სამი წელი მცირე დროა, მაგრამ სკოლების საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე აღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს. რესპუბლიკის ბევრ სკოლაში მოსწავლე გოგონები და ვაჟები ნაყოფიერად ეუფლებიან პრაქტიკულ მუშაობას.

> *იმისათვის, რომ განვამტკიცოთ სკოლის კავშირი ცხოვრებასთან, საჭიროა სკოლებში არა მარტო შემოვიღოთ ახალი საგნების სწავლება, რომლებიც იძლევიან ტექნიკისა და წარმოების საკითხთა ცოდნის საფუძვლებს, არამედ სისტემატურად მივაჩვიოთ მოსწავლენი შრომას საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საცდელ ნაკვეთებზე და სკოლის სახელოსნოებში.*
>
> ნ. ს. ხრუშჩოვი
>
> * * *
>
> *ბავშვი კარგად აღიზრდება, თუ საათობით სწავლობს, ჭამს თავის დროზე, ზომიერად ცელქობს, ვარჯიშობს ლამაზ იარაღებზე, დანიშნულ დროზე დგება და წვება.*
>
> ბ. ბელინსკი
>
> * * *
>
> *ბავშვის აღზრდა ჩვენი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი სფეროა. ჩვენი ბავშვები — ესენი არიან ჩვენი ქვეყნის მომავალი მოქალაქენი.*
>
> ა. მაკარენკო

აი, მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სასწავლო საამქროში მოსწავლე ვაჟები ამზადებენ ჩარხებისათვის საჭირო 45 დასახელების სხვადასხვა დეტალსა და მონაწილეობას ღებულობენ ჩარხების აწყობაში; თბილისის 88-ე სკოლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფის მიერ თბილისის კერამიკულ ქარხანაში დამზადებულმა ფაიფურის ჭურჭელმა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოწონება დაიმსახურა; 67-ე საშუალო სკოლის 4 მოსწავლეს, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიოდნენ თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკაში, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრობის საპატიო სახელი მიენიჭა. კვალიფიციურ სასოფლო-სამეურნეო შრომასა და საცდელ მუშაობაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ გორის, თელავის, საგარეჯოს, ხაშურის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ლანჩხუთის რაიონების მთელი რიგი საშუალო სკოლები. სხვა სკოლებშიც ამ მიმართულებით გაცხოველებული მუშაობა წარმოებს, მაგრამ ნიმუშად ესეც კმარა.

მეორეს მხრივ, საშუალო სკოლის ბევრი მოსწავლე ბეჯითად სწავლობს დედაენასა და რუსულ ენას, იჩენს მათ ღრმა ცოდნას, უყვარს წიგნი, ბევრს კითხულობს და მაღალ საერთო განათლებას ამჟღავნებს, კარგად არის დაუფლებული წერით მეტყველებას, სუფთად და უშეცდომოდ წერს და ამ მხრივაც მაღალწიგნიერია. მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი კარგად ეუფლება მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, წარმატებით სწავლობს ისტორიასა და გეოგრაფიას, მტკიცედ იცავს დისციპლინას სკოლაში, ოჯახში და საზოგადოებრივ-საკრებულო ადგილებში, უფრთხილდება და პატივს სცემს სკოლისა და პიონერული ორგანიზაციის სახელს.

მაგრამ ამ მხრივ ყველგან ყველაფერი როდია თავის რიგზე. ზოგიერთი პიონერი, მეტი რომ არ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელ მომზადებას იჩენს ძირითად სასკოლო საგნებში, მწყობრად ვერ მეტყველებს, შეცდომით წერს, სუსტად არის დაუფლებული რუსულ ენას და თითქმის სრულებით არ იცის უცხო ენა, წიგნისადმი ინტერესს არ იჩენს და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებში სათანადოდ გარკვევის უნარი არ შესწევს. ბევრგან მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული მათემატიკური დისციპლინების ცოდნის დონე; უმთავრესი დებულებანიც კი ამ დისციპლინებიდან მათ ზერელედ, გაუზარებლად, მექანიკურად იციან. ამ ნაკლს, ცხადია, თავისი მიზეზები აქვს. უმთავრესი მათგანი ისაა, რომ ზოგი ფიქრობს, თითქოს პრაქტიკულ საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩაბმისათვის აუცილებელი როდია მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად შესწავლა. ისინი, ვინც ამგვარად მსჯელობენ, ორმაგ შეცდომას ჩადიან: ერთი რომ სრულად ვერ ითვალისწინებენ იმ ამოცანებს, რაც ახალგაზრდობის აღზრდის წინაშეა დასახული საბჭოთა პირობებში, და მეორეც, მათ სწორი წარმოდგენა არა აქვთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდის პერსპექტივებზე.

საბჭოთა პირობებში საერთოდ, კერძოდ კი ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კვალიფიცირებული მუშის, რომელსაც საწარმოოსწავლებიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ამზადებენ, შინაარსი ძალიან ღრმაა. ეს არის კომუნისტური სულისკვეთებით აღჭურვილი, მაღალი მორალური თვისებების მქონე, განათლებული და კულტურული ახალგაზრდა, რომელსაც მტკიცე მეცნიერულ ბაზაზე შეუძენია სპეციალური ცოდნა გარკვეულ პროფესიაში და შესწევს უნარი სათანადოდ გაუმართოს თვალი ტექნიკის პროგრესს, მხარდამხარ გაჰყვეს მის მძლავრ წინსვლას.

ცხადია, რომ თუ ამ ჭეშმარიტებას დაივიწყებთ, საქმეს სისხლით და ხორ-

სლ ვლ ა.

ეპოსლიუჩი პარტიის XXII კრების შესახვედრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკორატიული ხეები, ვარდის ბუჩქები და ვაზის ნერგები ახარეს გურჯაანელმა პიონერებმა თავიანთ პარკში.

უფროსების ეხარბლებიან

გურჯაანელები სამართლიანად ამაყობენ იმ კეთილმოწყობილი პარკით, რომელიც ქალაქის მაღლა, მთის ფერდობზეა გაშენებული.

ხალხი ემადლიერება ამ პარკის დამაარსებლებს, მადლობის გრძნობით იხსენებს მათ, ვინც ჩაყარა და გაახარა მარადმწვანე ბუჩქები, დეკორატიული ხეები, ლამაზი ყვავილები და ვაზის ნერგები.

ათასობით ვარდის ბუჩქი დარგეს გურჯაანის საშუალო სკოლის პიონერებმა აქ, და ყველამ გაიხარა. მოსახლეობა კმაყოფილია პიონერთა საქმიანობით.

* * *

ვანო ძიას პიონერებმა თავი მოაბეზრეს. თითქმის ყოველდღე სანერგეში მიდიოდნენ მასთან ყვავილების თესლების, ჩითილების, დეკორაციული ნერგების და სხვადასხვა მცენარეების სათხოვნელად.

პირველად ძია ვანო ხალისით უმართავდა ხელს მათ, მაგრამ შემდეგ ნერგები შემოაკლდა და ხელცარიელი გაუშვა ბავშვები. ისინი კი მაინც არ ეშვებოდნენ და ბოლოს ნერგებით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ ქალაქის პარკში.

მართალია, რაც დარგეს თითქმის ყველამ გაიხარა, მაგრამ მზრუნველობა მაინც სჭირდებოდათ. თაკარა სიცხეში ჩალისქუდიანი გოგონები და ბიჭები თოხებით, ბარებით და სარწყავებით მიდიან პარკში, თავს დასტრიალებენ ნერგებს, ფერად-ფერად ყვავილებს, მარად მწვანე ბუჩქებს.

* * *

— შეხედე, ნათელა, ვახტანგი როგორ ვაჟკაცივით ურტყამს წერაქვს!

— თავში არ მოირტყას, — შეშფოთებულმა წარმოიძახა ნათელა ზავრაშვილმა და მუშაობაში გართულ ვახტანგ გიგაურს მიაშურა. ციცინო ფეხდაფეხ აედევნა რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს.

— შეისვენე ვახტანგ, მთლად ოფლში ხარ გაწუწული, სხვები სადღა არიან? — ვახტანგმა თავი მაღლა ასწია, მეგობრებს გაუღიმა: — თქვენ რა, მორჩით ყველაფერს?

— არა, მაგრამ ახლა ყვავილს ხელი რომ წავავლოთ, დაჭკნება, ძლიერ დაცხა.

— ახლა ერთი კარგი წვიმა და! — ინატრა ვახტანგმა და ცის დასალიერს გახედა. ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ეგდო უზარმაზარ ლურჯ ცაზე.

— სხვები სად არიან? — განუმეორა კითხვა ნათელამ და მშენებლობას თვალი გადაავლო. ვახტანგმა წერაქვი იქვე მიაგდო და მეზობლებს ხელით ანიშნა, მომყევითო. პიონერები სახელდახელოდ გაკეთებულ ფანჩატურთან ისხდნენ, ნიჩბები და ვედროები იქვე დაეყარათ და სადილობდნენ.

— შენ რა, დიდხანს უნდა გეხვეწოთ? — უსაყვედურეს ვახტანგს ბიჭებმა. მერე „სტუმრებს“ ადგილი დაუთმეს და განაგრძეს პურის ჭამა.

— წელს რომ დამთავრდეს სკოლის მშენებლობა, რა კარგი იქნება! — ინატრა ჯუმბერ ოტიაშვილმა და ფარულად გადახედა შეკრებილთ, როცა მათ სახეებზეც ეს ნატვრა ამოიკითხა, გაეღიმა და ხმამაღლა თქვა: მშენებლობა წელს დამთავრდება და ახალ სკოლაში ვივლით სასწავლებლად, აი, ნახეთ თუ ასე არ მოხდეს!

ნათელამ და ციცინომ მიატოვეს მშენებლობა და სკოლის ძველ შენობას მიაშურეს, სადაც მათ პარკიდან დაბრუნებული თანაკლასელები ელოდნენ.

პატარა მშენებლებიც წამოიშალნენ, ვედროებს წამოავლეს ხელი და ხარაჩოებში ჩამჯდარ კედლებისაკენ გაემართნენ, სადაც უფროსები გამალებული მუშაობდნენ.

ვასილ და მიხეილ თედიაშვილებმა ურიკაზე დალაგებული აგური ხარაჩოებთან მიზიდეს და ფიცრებზე წამოსკუპებულ ვალოდიას და ალექსანდრეს საქმე გაუჩინეს.

* * *

— მოდიან ჩვენი რაინდები, აი, ისინი არიან, — გადაულაპარაკა თეთრწვერება მოხუცმა გვერდში მჯდომ კაცს.

— ნუთუ? — დაეჭვდა მეორე და წითელყელსახვევიან ბავშვებს საეჭვოდ დაუწყო ყურება.

— კი; ხედავ, კაცს ეგონება ერთობიანო, სინამდვილეში კი მათ გაგვიშენეს და გაგვილამაზეს პარკი.

— მოიცა, იქ რა ამბავია, რაზე წიწმატობენ ყმაწვილები?

მოხუცმა ჩაიცინა და სტუმარს მიუგო:

— დამნაშავე გააბეს. მან, ალბათ, ქაღალდი, ან პაპიროსის ნამწვი დააგდო ძირს.

მარტო ერთი მოხუცი როდი ლაპარაკობდა ასე გურჯაანელი მშრომელები ყოველთვის მადლობის გრძნობით ახსენებენ პატარებს, როცა მზე ჩადის, პარკში ამოდიან დასასვენებლად.

ყვარელი

ქარგია, უმაღლესი ხარისხისაა

მამლებმა რომ მესამედ იყივლეს, მიხეილმა თვალები ჭყიტა, ლოგინზე წამოჯდა და ეზოში გადაიხედა.

— ნამდვილად დამაგვიანდა, ვაი, სირცხვილო, რას იტყვიან ამხანაგები? საჩქაროდ წამოხტა, ტანსაცმელი გადაიცვა, პირზე წყალი შეისხა და კიბე აირბინა.

ყვარლის ადგილმრეწველობის კომბინატის სოფელ ოქტომბრის აგურ-კრამიტის საამქროში რომ მივიდა, მთვლემარე დარაჯს თავზე წაადგა და ძილი დაუფრთხო.

— რა მოგარბენინებდა ასე ადრიანად, შე ჭინკა ჯერ არავინ მოსულა, არც საამქროს უფროსი, არც ჩამწყობი

— მერე რა, — შეაწყვეტინა მიხეილმა და ტანსაცმლის გამოსაცვლელად ალიზის ქოხისაკენ გაემართა, — სანამ მოვლენ ცოტას წავიმუშავებ, საქმე წინ წავა.

მალე მთელი რგოლი საამქროში მოვიდა.

— ბავშვებო, სანამ უფროსები მოვლენ, მოდი, აგურის ნამტვრევები გადაეყაროთ, ჩვენც ხელს გვიშლის მუშაობაში და სხვასაც. აბა, მერი, გადაიცვი ხალათი. მიხეილმა ხალათის სახელოები აიკაპიწა, ურიკა მოათრია და ნიჩაბი მოიმარჯვა. მალე გოგონებიც მოვიდნენ და ისეთი ორომტრიალი გაჩაღდა, რომ დარაჯი მთლად გამოფხიზლდა რამდენიმე წუთის შემდეგ საშრობი საამქროს ტერიტორია გაწმინდეს ყოველგვარი ნარჩენებისაგან. ბავშვებმა შეისვენეს და მერე ნახშირის გორას შეესივნენ ნახშირს ურიკებით ეზიდებოდნენ და ღუმელებთან ყრიდნენ. მუშაობაში გართულებს არ შეუმჩნევიათ როდის მოვიდნენ მუშები.

კომკავშირელმა გრიგოლ თევდორაშვილმა, რომელიც საამქროში ჩამწყობად მუშაობდა, მიხეილ მიხკალიშვილს მოუხმო თავისთან.

— შენ, როგორც რგოლის ხელმძღვანელი, ვალდებული ხარ ბავშვებს უბრძანო შესვენება, აბა, ეს რას ჰგავს, შეუსვენებლივ მუშაობა... ნელა იმუშავეთ, გესმის?

იმ დღით პიონერულმა რგოლმა, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგება, 5000 აგური და კრამიტი შეზიდა გამოსაშრობ საამქროში.

* * *

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. პიონერებმა შეისწავლეს საამქროს მთელი „საიდუმლოება". ზოგი აგურის დაწნეხვაზე ეხმარებოდა უფროსებს, ზოგი ალიზს ეზიდებოდა ზოგიც გამომშრალ აგურისა და კრამიტის გადაზიდვაში იღებდა მონაწილეობას. საამქროს უფროსი, კომკავშირელი ილია ურუზაშვილი კმაყოფილია პატარების მუყაითობით.

— კაცი ვერ იტყვის ვინ — ვის სჯობია. ყველა ერთნაირად, მუყაითად და კარგად მუშაობს. იქნებ ვერც კი გრძნობენ, როგორ დიდ დახმარებას გვიწევენ. ხუმრობა ხომ არაა, ოთხმოცდაათი ათასი აგური და კრამიტი მისცეს სამშობლოს უფროსების დახმარებით. მართლაც ჭინკები არიან, კაცი ვერ დასწრებს სამუშაოზე მოსვლას. რაოდენობა როდია მთავარი, ხარისხიც უნდა იყოს კარგი.

საამქროს უფროსს კვეხნაში რომ არ ჩამოერთვას, რაიონის მშენებლების შეფასებას დავუჯეროთ.

— კარგია, უმაღლესი ხარისხისაა, შეიძლება ითქვას, რომ უკეთესი აღარც შეიძლება!

ეს შეფასება სამართლიანად დაიმსახურეს საამქროში მომუშავეებმა და, რა თქმა უნდა, პიონერებმაც, ისინი ხომ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგურისა და კრამიტის დამზადებაში.



პიონერულმა რგოლმა იმ დღეს 5 000 ცალი აგური და კრამიტი შეზიდა გასაშრობ საამქროში

ბიჭები ნახშირს ურიკებით ეზიდებოდნენ და ღუმელთან ყრიდნენ.

სიღნაღი

წითელყაღლასხვევიანები

რაზმეულის შეკრება გვიან დამთავრდა. პიონერები უხმოდ მიდიოდნენ. არავის ეჩქარებოდა სახლში მისვლა, თუმცა ელექტრობოძებზე ნათურები უკვე ციმციმებდნენ, ცაც საეჭვოდ იღრუბლებოდა. ჭიაურიდან ცივმა ნიავმა დაუბერა. თამაზი რატომღაც შეკრების დამთავრების შემდეგაც მოწყენილი იყო და ხმას არ იღებდა. ალბათ იმიტომ, მეცა-

დინეობა რომ შეწყდა და ისე ხშირად ვეღარ ნახავს სკოლას.

— არა, ელიზა, მისთვის ხომ სულ ერთია, არდადეგებზე ვიქნებით თუ არა. გახსოვს, შარშან მთელი ზაფხული სკოლის შენობას არ მოსცილებია, ხან რას აკეთებდა, ხან რას, — შეაწყვეტინა რაზმის ხელმძღვანელმა მაყვალა ვარამაშვილმა ელიზას და თამაზს გადახედა, რომელსაც პიონერები შემოხვეოდნენ და რაღაცაზე კამათობდნენ.

— წამოდი, ვნახოთ, რაზე კამათობენ, — გადაულაპარაკა ელიზამ მეგობარს და ორივემ თანაკლასელებს მიაშურა.

— სიტყვა სიტყვაა, მაგრამ შესრულება ხომ უნდა. აბა, ვინ მოგვიწონებს სიცრუეს. მაშინ იქვე უნდა გვეთქვა დირექტორისათვის, მაშინ სხვა საშუალებას გამონახავდა დირექცია. დაავალებდა ისეთებს, რომლებიც გააკეთებდნენ ამ საქმეს

— აბა, აღარ გვინდა დასვენება? ყოველდღე როგორ მოვიდე სახლიდან სკოლაში ამ სიცხეში?

— არ გრცხვენია, ირაკლი, შენ როგორ ამბობ ამას? აბა, როგორ დადიოდი აქამდე, ახლა რაღა მოგივიდა?

ირაკლიმ ამოიხვნეშა და დასძინა:

— ვნახოთ, მე ვეცდები, მაგრამ რა ვიცი, — უკანმოუხედავად ჩაილუღლუღა მან და წავიდა.

— თქვენ რაღას იტყვით ბავშვებო, ვიაროთ შეშის ჭრაზე? — შეეკითხა თამაზ მირიანაშვილი თანაკლასელებს და ყველას სათითაოდ გადახედა. პიონერებმა მხრები აიჩეჩეს, ერთმანეთს გადახედეს და დასთანხმდნენ.

დილით, ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ თამაზმა თამამად შეაღო სკოლის ჭიშკარი და ფარდულს მიაშურა. ძალიან გაუკვირდა, როცა ყრუ ხმაური მოესმა ფარდულიდან. ერთ ადგილზე შეჩერდა, ყური მიუგდო ხმაურს და მალე გამოიცნო, ვიღაც შეშას ხეთქავდა ცულით. „ეს ალბათ სკოლის დარაჯი თუა, ალბათ, მოსწყინდა ერთ ადგილზე ჯდომა და“... თამაზის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მუშაობაში გართულ ირაკლი მჭედლიშვილს თავზე წაადგა.

— გამარჯობა, ირაკლი! ბიჭო, რამ მოგიყვანა ასე დილა ადრიან?

ირაკლიმ ცული შეშის ნაჭერში დატოვა, წელში გაიმართა, მეგობარს გაუღიმა და მიესალმა. მერე შუბლზე ოფლი მოიწმინდა და იქვე მორზე ჩამოჯდა.

— ძალიან კი დაღლილხარ. თავი კი არ უნდა შეაკლა.

— იცი, თამაზ, მე მინდა... თუმცა რამდენი კუბური მეტრი შეშაა დასაჭრელი?

— ორმოცდახუთი: რა იყო?

— არა, ისე, მინდა მალე დავხერხოთ და დავაბინაოთ.

— მერე, ალბათ, დასასვენებლად წახვალ სადმე, არა?

— დასასვენებლად წელს არსად მივდივარ. მინდა სკოლის შენობის შეკეთებაში მივეხმარო.

— ჩამონგრეული კედლების შეკეთება მე ვიკისრე, ალბათ დამეხმარები.

— ასე გამოდის. შენ დღეს უნდა დაიწყო კედლების შეკეთება?

— რა ვიცი, ვნახოთ. თუ ბავშვები მოვლენ, ყველა ხომ შეშას არ დავჭრით. აგერ, მოდიან კიდეც.

მთელ დღეს თავაუღებლივ მუშაობდნენ მეექვსეკლასელები. გენადი და გიგი ხეებს ხერხავდნენ და აპობდნენ. ვენერა და ნათელა კი დაპობილ შეშას ეზიდებოდნენ ფარდულში. სამი ყვირის შემდეგ სკოლის ეზოში დაუჭრელი და დაუპობელი ხე აღარ ეგდო. თამაზმა კი ნუგზარი და ვენერა დაიხმარა და კედლების შეკეთება დაიწყო. მერე მათ ირაკლიც შეუერთდა. ბავშვებს ძალიან გაუკვირდათ, როცა სკოლის დირექტორმა ელენე მირიანაშვილმა უთხრათ, რომ შეშის ჭრაზე დაზოგეს სამოცი მანეთი.

—სამოცი მანეთი, მერე და როდის, ისეთი რა გავაკეთეთ? — მხრები აიჩეჩა გენადი სიყმაშვილმა და ღიმილით გადახედა ვენერას.

— დაზოგილი თანხით მერხები და დაფები შევღებოთ, რას იტყვით, ბავშვებო, კარგია?

დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს ნუგზარმა ბავშვებს გადახედა და დუმილი დაარღვია: — პატივცემულო მასწავლებელო, მაგ ფულით საღებავები ვიყიდოთ და შეღებვით ჩვენ შევღებავთ, მე მგონი, შევძლებთ.

ტარიელ მაისურაძემ ყურები ცქვიტა და მოუთმენლობა დაეტყო. ბავშვებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ეს და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს.

— მასწავლებელო, მე ვიკისრებ მერხების და დაფების შეღებვას, თქვენ ოღონდ საღებავები იშოვეთ.

— შენ რაო, ქიმიის კაბინეტი მოაწყვე უკვე?

— დიახ, მასწავლებელო, გუშინ დავამთავრე.

ბავშვები სულგანაბული მისჩერებოდნენ დირექტორს. მერე მან გაიღიმა და დათანხმდა.

— ოღონდ, —დასძინა ელენე მასწავლებელმა, — არ დაგავიწყდეთ სიმინდის მოვლა.

— სიმინდი უკვე მესამედ გავთოხნეთ, არც ერთი სარეველა არ ურევია ნათესს.

მალე გაირბენს დღეები და სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის საშუალო სკოლის პიონერები შრომაში გაკაჟებულნი მიუსხდებიან გაკრიალებულ მერხებს, ისწავლიან ისე, როგორც სწავლობდნენ აქამდე, ეს რაზმი ხომ აკადემიური მოსწრების მხრითაც თითით საჩვენებელია მთელ სკოლაში.

თ. შათირიშვილი



გენადი და გივი შეშას ხერხავდნენ, ვენერა და ნათელა კი დახერხილს ფარდულში ეზიდებოდნენ.

საჩუქარი

ეს წელი ქეთინოსთვის მეტად ბედნიერი წელი იყო! — ამ წელს დაიჭირა პირველად მან ხელში ლამაზი ჩანთა, სიხარულით ჩაალაგა შიგ რვეულები, საფანქრე, საშლელი და დედასთან ერთად გაუდგა სკოლისკენ გზას.

რამდენი ახალი და საინტერესო რამ დახვდა ქეთინოს სკოლაში: აჭრიამულებული ბავშვებით სავსე ეზო, ნათელი, სუფთა საკლასო ოთახები და პირველი ზარი, რომელიც სწავლისაკენ მოუხმობდა პატარებს. ქეთინოს სამუდამოდ დაამახსოვრდა მწკრივად ჩამდგარი კომკავშირელები, პიონერები, ოქტომბრელები. მათ შორის იდგა ქეთინოც და ხელში უზარმაზარი თაიგული ეჭირა.

მერე კლასში შემოვიდა ახალგაზრდა, მღიმარე მასწავლებელი. ეს იყო პირველი შეხვედრა საყვარელ აღმზრდელთან...

სწრაფად, შეუმჩნევლად გაფრინდნენ დღეები. ახლა წინ საგაზაფხულო არდადეგებია. პიონერთა სასახლე და სახლები ათასფერადაა მოკაზმული. რამდენი გასართობი, გამოცანები, მხიარული თამაშობანი! ახლა ზღაპრების ოთახსა და თოჯინების წარმოდგენას აღარ იკითხავთ?

აი, სწორედ ასეთ მხიარულ დღეებში მიიღო ქეთინომ პირველი მიპატიჟება. მისმა თანაკლასელმა თამაზმა დაპატიჟა გოგონა დაბადების დღეზე ჰოდა, ქეთინოც დედასთან ერთად დაეძებს საჩუქარს. რა არ უჩვენეს მაღაზიაში ქეთინოს: ეს წიგნიო, ეს ალბომიო, ფერადი ფანქრებიო, მაგრამ გოგონა ყველაზე მეტად ერთმა ბრინჯაოს პატარა ბიუსტმა მოხიბლა: ეს იყო ვალოდია ულიანოვის ბიუსტი. ლენინი ბავშვობისას. — აი, საჩუქარიც ასეთი უნდა!

ქეთინომ საჩუქარი გულში ჩაიკრა. მან სულმოუთქმელად აირბინა თამაზის სახლის კიბე. ოი, რა ხმაური იდგა თამაზთან. გოგონები და ბიჭები მხიარულად დარბოდნენ მაგიდის გარშემო. მაგიდაზე კი ათასნაირი ტკბილეული იდო.

ქეთინოს მეგობრები შემოეხვივნენ გარს.

— რა მოიტანე? — კითხულობდა ერთი.

— გვიჩვენე რა! — თხოვდა მეორე და თან შეფუთნულს ხელით სინჯავდა.

— თავი დამანებე, ქაღალდს ნუ მიხევ, — გაცხარდა ქეთინო. — თამაზი სადაა?

— მეორე ოთახშია.

ქეთინომ ძლივს ღააღწია თავი მეგობრებს.

თამაზს ვაჟკაცურად ჩაეწყო შარვლის ჯიბეში ხელები. იდგა და ბიჭებს გატაცებით უყვებოდა რაღაცას.

— თამაზ, გილოცავ დაბადების დღეს! დარცხვენით წაიბუტბუტა ქეთინომ და შეფუთული ძღვენი გაუწოდა.

— გმადლობ. — უთხრა თამაზმა, საჩუქარი საწერ მაგიდაზე ჩამოდო და კვლავ ბიჭებთან გააგრძელა ლაპარაკი.

მეზობელ ოთახიდან ისევ მოისმოდა სიცილი, მხიარული ხმები. ბავშვები დავობდნენ რა ვითამაშოთო.

ქეთინო კი განცვიფრებული დაჰყურებდა თამაზის საწერ მაგიდას. რა არ იყო ზედ დაჯღაბნილი, მელნის ლაქებს უშნოდ დაეთხუპნა მაგიდის საფარი. ზედ რვეულები და წიგნები დაუდევრად ეყარა. გაკვეთილების ცხრილი თამაზს ნემსით მიერჭო კედელზე. ქეთინო თვალს ვერ აშორებდა ჭუჭყიან, ჩაშავებულ სამელნეს, მაგიდასა და იატაკზე დაყრილ დამტვრეულ ფანქრებს.

და გოგონამ უცებ წარმოიდგინა, როგორ დადგამს თამაზი მის საჩუქარს აი, აქ, ამ მიყრილ-მოყრილ მაგიდაზე, როგორ დაითხუპნება და გაშავდება თამაზის ხელში ეს საჩუქარი.

ქეთინომ თვალი მოავლო ტოლებს. არა, მისთვის არავის არ ეცალა. ბავშვები თამაზით იყვნენ გართული. უფროსები მაგიდას დასტრიალებდნენ თავს. გოგონას ბევრი აღარ უფიქრია — ხელი დაავლო თავის საჩუქარს და გულზე მიიკრა. მერე, თითქოს რაღაც დიდი საფრთხე ელისო, ქუჩაში გამოვიდა და უკან არ მიუხედია, ისე გაიქცა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ქეთინო მარტო ბრუნდებოდა სახლში...

მხოლოდ მაშინ დაწყნარდა გოგონა, როცა თავის ოთახში შეირბინა, კედელთან სკამი მისწია, ზედ აცოცდა და ლამაზ თაროდან ფაიფურის ფიგურა ჩამოიღო. მის ადგილზე კი ვალოდია ულიანოვის ბრინჯაოს ბიუსტი დადგა სათუთად.

რიმა ღეზგიშვილი

ნა. გ. თოთიბაძისა

ძალვილ ჯვარი

სოსო იორამაშვილი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

მოთხრობა *

მაშინ მოვილაპარაკეთ და გაქცევა მოვაწყვეთ. ხორცის მეტი ჩვენი ყველაფერი თან წამოვიღეთ, არაფერი დაგვიტოვებია.

ეს ყველაფერი ისე მოხდა, რომ ყარაულები გონს ვერ მოვიდნენ. სასწრაფოდ შევერიეთ ხშირ ტყეში, უმალ მოვიმხრეთ ეს ადგილი ქაჩალგორას რომ ვუყურებდით და პირდაპირ აქეთ წამოვედით უგზო-უკვლოდ. ერთ ადგილას კლდეზე ჩამოვდიოდით. ნიკუშას ფეხი დაუსხლტა, წაქცეული დაგორდა და მარჯვენა ფეხის წვივი იტკინა. პირველად, სანამ გახურებული იყო, არა უშავდა რა, მერე რომ გაუსივდა გადაყვლეფილი ადგილი, ასტკივდა ფეხი და ვეღარც ადგამდა, მანამ ჯაბამ ყავარჯენი არ გაუკეთა და ისე არ წამოვიყვანეთ.

ამ გორაკის იქით იფნების კორომი რომ არის, იქამდე მოვედით, მერე მე გამომგზავნეს, რევოლვერები თან გამომატანეს და მითხრეს: ნახე ძია ლადო, თუ ძალიან გაბრაზებული არ არის, მოვალთ, თუ არა და აქედანვე გავბრუნდებითო.

გიამ სათქმელი დაამთავრა, მერე უხმოდ ამოიღო ზურგჩანთიდან რევოლვერები, წინ დამილაგა და დადუმდა. შევხედე სახეში და დავრწმუნდი, რომ უმაწვილმა ყველაფერი სიმართლე თქვა.

რაკი გამოქვაბულში გასაკეთებელი აღარაფერი გვქონდა, გადავწყვიტე თბილისში დავბრუნებულიყავი. ჩვენი ბარგი-ბარხანა მოვაგროვეთ მე და გიამ, გამოქვაბულში რევოლვერები დავალაგეთ, შესავალი ხვრელის თავსახური ქვა გავასწორეთ, ცოტა ხანს შევისვენეთ და ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა, რომ სახლისაკენ დავიძარით.

* * *

იფნების კორომთან მართლაც ნიკუშა და ჯაბა დაგვხვდნენ. ორივენი სახეში შემომყურებდნენ შეშინებულნი და უნდოდათ გაეგოთ, ვაპატიე თუ არა დანაშაული. მე, რაკი ასე კეთილად დამთავრდა მათი ცუღლუტობა, გულში კიდევაც ვაპატიე, ოღონდ მაინც ნაძალადევად შევიკარი შუბლი და ვუსაყვედურე.

ეტყობოდა, ჩემმა საყვედურმა ძალიან იმოქმედა, რადგან სამივე თავჩაღუნული იდგა და ხმის ამოუღებლად ისმენდა ტუქსვას. სახეზე კი ისეთი ტანჯვა ჰქონდათ აღბეჭდილი, რომ მე თვითონ შემეცოდნენ და საყვედური საქმით შევარბილე: ნიკუშას ფეხის წვივზე შარვალი ავაწევინე და დაზიანებული ადგილი გავუსინჯე. თუმცა გვიან იყო, მაგრამ მაინც სამოგზაურო აფთიაქი გავხსენი, იოდში დასველებული ბამბით იარა მოვბანე, გადაყვლეფილ ადგილზე სტრეპტოციდის ფხვნილი დავაყარე და დოლბანდით შევუხვიე. თან, რა თქმა უნდა, ერთი სიტყვითაც აღარ გამიხსენებია მათთვის თავიანთი დანაშაული, პირიქით, საქციელი შევუქე, რომ მათ

*) დასასრული. იხ. „პიონერი" №№ 6, 7, 8.

ნაკრძალის მცველებს თავი დააღწიეს და არ წაჰყვნენ თბილისში.

ამაზე ჯაბას გაეცინა და ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა.

— მე, ძია ლადო, გია და ნიკუშა რომ არაფერს აპირებდნენ და გულდამშვიდებულები ისხდნენ მანქანაში, მიკვირდა. ჯერ ვუყურებდი, ასე ჭკვიანად რომ სხედან, ალბათ, რაიმე აქვთ მოფიქრებული და, მალე გავთავისუფლდებით-მეთქი. მაგრამ კაი გზა გავიარეთ, სხედან ეს ბიჭები გუგულებივით და თავებს აკანტურებენ. ასე არ ივარგებს-მეთქი, — გავიფიქრე და ჯერ გზაში, სადმე მოსახვევში რომ შეანელებდა სვლას მანქანა, მოხერხებულ ადგილს ვარჩევდი, გადასახტომად, მაგრამ გადახტომა აღარ დამჭირდა. ერთ ადგილას მორევი მოეწონათ და იქ გააჩერეს მანქანა. მართალია, გასაქცევად ის ადგილი არ ვარგოდა, რადგან წყლისპირიდან აღმართები იწყებოდა ორივე მხარეს. გასაქცევად კი ყოველთვის ვაკე, ან თავქვე ჯობია. მაგრამ ამის გამო აღარ დამიშლია. გაცაცანი ჩემი გეგმა ბიჭებს. გიას ვუთხარი, მიყუდებოდა მანქანას ისე, რომ მობანავეებისათვის დაეფარა ფანჯარა და არ დაენახვებინა თუ შიგ რას ვაკეთებდით მე და ნიკუშა. მართლაც, გია ისე აეფაყვა მანქანას, რომ სულ დაფარა, თანაც ისე იდგა პირდაღებული, რომ კაცი ვერ იფიქრებდა თუ ამას რაიმე ეშმაკობა ედო გულში. ამასობაში ჩვენი იარაღი ვიპოვნე. ერთი ვუჩქმიტე ბიჭებში გიას, ყველაფერი მზად არის-მეთქი და მოვუსვით ქაჩალგორისაკენ...

ჯაბას ნალაპარაკევს ბიჭები ღიმილით ადასტურებდნენ. ოღონდ ნიკუშას, ეტყობოდა, დაზიანებული ფეხი ძალზე აწუხებდა, რომ ხანდახან ტკივილებისაგან სახე ეღმაჭებოდა, მაგრამ იგი ამას მოხერხებულად მალავდა, რომ მე არ შემემჩნია.

— ნიკო, რას იტყვი, წასვლის დრო არ არის? თუ შეგიძლია სიარული? — ვკითხე.

— სულ სირბილით წამოვალ, ძია ლადო! ეს რას შემიშლის! — მიპასუხა და სცადა გავლა, მაგრამ ფეხი ვერ დაადგა და ხეს რომ არ მიჰყუდებოდა, ძირს დაეცემოდა.

ეს კი აღარ მომეწონა, რადგან ყავარჯნით იმ ღადაღუდა გზაზე ყმაწვილს სიცოცხლე გაუმწარდებოდა და, რაც მთავარია, კიდეც რომ გაეჭირვებინა და ევლო, სამიოდე კილომეტრის გავლასაც ვერ შესძლებდა.

ამიტომ ბევრი აღარ მიფიქრნია. გადავწყვიტე საკაცის გაკეთება, რაც ათიოდე წუთში მზად გვქონდა.

ორ მოზრდილ იფნის კეტზე წნელები გავაბი, ფოთლიანი, წვრილი ტოტები ზედ დავაფინე და ნიკუშა ზედ დავაწვინე. ასე რომ, უკვე შეგვეძლო დავძრულიყავით, მხოლოდ აგრილებას ველოდით, რომ სიცხეს არ შევეწუხებინეთ.

ქაჩალგორა თითქმის თვალნათლივ გადმოვიარეთ და ხმაურას ნაპირებზე რომ ჩამოვედით, მერე სიბნელეში უგზო-უკვლოდ სიარული უკვე აღარ შეიძლებოდა. ამიტომ მანქანის გზას დავადექით და აღარც მოვცილებივართ. მაგრამ ძილი, დაღლილობა და შიმშილი ერთად მოგვეძალა და იძულებული გავხდით შევჩერებულიყავით.

ღამის გასათევად წყლის პირას დავცით ჩვენი პატარა კარვები. ნიკუშას ფეხი გაუსივდა და ეტყობოდა სიცხემაც აუწია, რომ ერთავად სულ შფოთავდა და კვნესოდა. მხოლოდ ის მაიმედებდა, რომ ბიჭს ჭამა არ აუკვეთნია და მეც ჩემი მხრით, იმ ჩვენს შემცირებულ პურის მარაგს იმას ვაძლევდი, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ მალე ისიც აღარ მექნებოდა. მეტი ჯანი არ იყო, მე, გიას და ჯაბას პურზე ხელი უნდა აგვეღო. დილით კი შვილდისარი და ჩემი თოფი უნდა აგვემუშავებინა, რომ იქნებ რამე გვეშოვნა. ამით ნიკუშასაც ყუათიან საჭმელს შევაჭმევდით და ჩვენც უპუროდ, ხორცით წავიდოდით იოლად.

გათენდა თუ არა, ჯაბა და გია ავადმყოფთან დავტოვე, თვითონ კი სანადიროდ წავედი, მაგრამ ნაშუადღევის ორ საათამდე ამაოდ ვიხეტიალე. ვერც ვერაფერი ვიშოვე და ცარიელი ხელითაც არ მინდოდა ბიჭებთან დაბრუნება. დაღლილი, ერთ ადგილას გზის ახლოს ბებერი ვერხვების კორომს შევერიე, სადაც ჩემი ყურადღება ორმა მოჭრილმა ვერხვმა მიიპყრო.

არ ვიცი რას უნდა გავეხარებინე ისე, როგორც მაშინ ერთმა პატარა ამბავმა გამახარა: რამდენიმე დღის წინათ მოსული წვიმების გამო დაეძახნა სოკოს და სვინტრივით ამოეყარა. ერთმანეთზე მიჯრილნი ძლივს ეტეოდნენ ვერხვის ძირის ვეებერთელა გადანაჭერზე.

ვიღას ახსოვდა თოფი! იქვე მივაგდე და შევუდექი სოკოს კრეფას ფრთხილად, რომ არ დამტვრეულიყო. ზურგჩანთა და ხალათის კალთა ავივსე და გახარებულმა გავწიე ბიჭებისაკენ.

ფიქრებში გართული ვუახლოვდებოდი იმ ადგილს, სადაც ფეხნატკენი ნიკუშა იწვა პატარა კარავში, რომ შორიდან ხმაური შემომესმა, იგი თანდათან მატულობდა და სულ ახლოს რომ მივედი, დავრწმუნდი, ბიჭები ვიღაცას ეჩხუბებოდნენ.

— ხელი არ ახლო! — გარკვევით გავიგონე ჯაბას ხმა.

დაღლილობის მიუხედავად, ფეხს ავუჩქარე, უკანასკნელ ხეებს რომ გავცდი, რომლებიც ჩვენი კარავის დანახვაში ხელს მიშლიდნენ, გზაზე ავტომანქანა შევამჩნიე და ჩემსკენ ზურგშემოქცეული სამი კაცი დავინახე.

მე მაშინვე მოვისაზრე — ეს ის ხალხი უნდა ყოფილიყო, რომლებსაც ჩემი ბიჭები გამოექცნენ პატიმრობიდან და ამიტომ სასწრაფო გადაწყვეტილება მივიღე: უცებ ხის ძირში დავყარე კალათში დაგროვილი სოკო, ზურგჩანთაც იქვე მივაგდე და თოფმომარჯვებულმა უკანიდან შევძახე: — ხელი არ გაანძრიოთ, თორემ აქვე დაგალაგებთ-მეთქი!

ეს მოულოდნელი შეძახილი საკმაო გამოდგა იმისათვის, რომ ისინი ნირწამხდარები შემოტრიალებულიყვნენ ჩემსკენ. შემოტრიალდნენ და ორივე მხარე სახტად დავრჩით: ორი მათგანი ჩემი კარგი მეგობარი გამოდგა ნადირობიდან, რის გამოც ის სიმკაცრე და რიხი, რომელიც ჩვენს სახეებს ახლდა, უცბად კეთილი ღიმილით ჩანელდა. ამ სურათის დამნახავი ჩემი თანამგზავრი ბიჭებიც გაკვირვებულები შემოგვყურებდნენ. ეტყობოდათ ისინიც კმაყოფილები იყვნენ იმის გამო, რომ ჩხუბის ღრუბლებმა გადაიარეს და საქმე ასე კეთილად დამთავრდა.

როგორც შემდეგ გვიამბეს, ნაკრძალის მცველებს, როცა გაეგოთ, ბიჭები გაგვეპარნენო, დაფაცურებულიყვნენ, მაგრამ იქ რას იპოვნიდნენ! მაშინვე უკან დაბრუნებულიყვნენ და იქ დაეწყოთ ძებნა, სადაც ბიჭები ბრაკონიერობაზე დაიჭირეს, იქნებ მართლა მათი ექსპედიცია ვიპოვნოთო. მაგრამ, რაკი ვერავითარ კვალს ვერ წასწყდომოდნენ, იმედგაცრუებულნი თბილისისაკენ დაბრუნებულიყვნენ და სრულიად შემთხვევით ეპოვნათ გზის პირას, პატარა კარავთან თავიანთი ყოფილი პატიმრები.

— ოო! ეს რა ლომი გყოლია, ლადო! — მიმითითა ჯაბაზე ჩემმა ნაცნობმა ვალოდიამ, — კინაღამ კეტი დამთხლიშა თავში, როცა ფეხნატკენი ბიჭის მანქანით წაყვანა დავაპირე. მე რევოლვერით ვცადე დამეშინებინა, მაგრამ

საქმეში ხარ? ასეთებს თურმე როგორ დააშინებ? ალბათ, იფიქრა — ეს ოხერი ისე სულელი როგორ იქნება, შვლის გულისათვის კაცი მოკლასო და არაფრის დიდებით ამხანაგი არ დამანება, თორემ აქამდი, ერიჰა, თბილისში ვიქნებოდი.

— ძალიან კარგად მომხდარა, ჩემო ვალოდია, თორემ ამას ზედმეტი გაუგებრობა და დავიდარაბა მოყვებოდა. ეგ ყმაწვილები სრულებით არ არიან დამნაშავენი. შვლის მოკვლა ნამდვილად მე დავაგალე-მეთქი და ვუამბე ჩვენი განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ; თუ როგორ აღმოვაჩინეთ კლდეზე მიშენებული ეკლესიის ქვეშ გაყვანილი საიდუმლო გვირაბი. და ავუხსენი, სწორედ იმის გამო გავბედეთ შვლის მოკვლა, რომ სურსათი შეგვევსო-მეთქი.

ეს რომ გაიგეს ჩემმა მეგობრებმა, ძალიან დაინტერესდნენ და განცვიფრებულები შემოგვყურებდნენ. შემდეგ, ყმაწვილებს უსაყვედურეს, რატომ ეგრე არ გვითხარით მაშინვე.

— კაცო! ამ ოჯახქორებს ადამის ჟამის რევოლვერები დაეჭირათ და მარწმუნებდნენ ექსპედიციაში ვართ და ყველას ასეთი იარაღი გვაქვსო. ერთიც შენ იყო, ჩემო ლადო, რას იფიქრებ?! ისეთი რა ექსპედიცია არის, რომელიც ამ რაკეტებისა და ატომის დროში „სმეტისონის“ რევოლვერებით შეუიარაღებიათ-მეთქი! „ჩვენმა უფროსმა დაგვრთო ნება — ან ერთი შველი მოკალით, ან ორი კურდღელიო“.

ვეუბნები: შვილო! ვინ არის თქვენი უფროსი, რა კაცია-მეთქი?“ ამაზე სდუმან და არაფერს არ მეუბნებიან.

აღარც შევდავებივარ ვალოდიას, რადგან, გარდა იმისა, რომ მართლაც სადავო აღარაფერი გვქონდა, ახლა მთავარი დამშეული ექსპედიციის დანაყრება იყო და და გულახდილად ვუთხარი მეგობრებს რითი შეეძლოთ დაგვხმარებოდნენ.

— რა შეგვიძლია? მაგათ მიერ მოკლულ შვლის ხორცს დაგიბრუნებთ ისევ, რომელიც გაპარვის დროს ჩვენს მანქანაში დატოვეს. გრილად გვქონდა შენახული და ოდნავადაც არ მოძველებულა.

ახლა აღარაფერი გვქონდა სადარდებელი, ფეხნატკენი ნიკუშას წაყვანა აღარ გვაწუხებდა. მანქანა უკვე ჩვენს განკარგულებაში იყო. მართლაც, კარგა ლაზათიანად შევნაყრდით, ყველანი ავტომანქანაში ჩავსხედით და დავიძარით.

* * *

პანტიანში რომ ჩამოვედით, ჯაბას გამოვემშვიდობეთ, უკანასკნელად ერთხელ კიდევ გავაფრთხილე, ჩვენს მიერ აღმოჩენილი გამოქვაბულის შესახებ კრინტი არავისთან დასცდენოდა სოფელში.

თავის მხრივ ჯაბამ ჩემი თბილისური მისამართი ჩაიწერა და გაცილების დროს თვალებით მეხვეწებოდა არ დამივიწყოო, რისთვისაც მე ერთხელ კიდევ გავამხნევე და მანქანაც დაიძრა.

წისქვილთან მანქანიდან არც კი ჩამოვსულვართ. მხოლოდ შევაჩერეთ, ძია ლაზარეს მიპატიჟებაზე მადლობა გადავუხადეთ და თბილისისაკენ დავიძარით.

ჩვენს სოფელში მხოლოდ გია ჩამოვსვით. ისიც გავაფრთხილე — გამოქვაბულის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვა და ნიკუშა თბილისისაკენ გავაქანეთ, რომ ექიმებისათვის გვეჩვენებინა მისი ნატკენი ფეხი, რადგან გართულებისა მეშინოდა.

მართლაც, ჩამოვედით თბილისში და ძალიან კმაყოფილი დავრჩი ჩემი გადაწყვეტილებით — ცოტა რომ დაგეგვიანათ, განგრენა ეწყებოდა ბავშვს და უსათუოდ დაიღუპებოდაო, — მითხრეს ჩემმა მეგობარმა ექიმებმა. ეს რომ გავიგე, უცნაურია, მაგრამ მაშინ უფრო შეშინდა — რაღა პასუხი უნდა გამეცა მისი მშობლებისათვის ნიკუშას რომ რამე მოსვლოდა, მაგრამ ბავშვი რომ საიმედო ადგილს მოვათავსე, მალე დავმშვიდდი.

ახლა მთავარი ის იყო, ვისთვის უნდა მეცნობებინა ჩვენი აღმოჩენილი გამოქვაბულის ამბავი, რომ მერე არ დამდურებოდნენ, რატომ პირველ რიგში ჩვენ არ შეგვატყობინეო.

მეორე დღეს ბავშვის სანახავად რომ მივედი, ნაცნობმა მორიგე ექიმმა თავისთან გამიხმო და მითხრა:

— ლადო! სიცხიანმა ავადმყოფებმა ზოგჯერ უარესი ბოდვაც იციან, მაგრამ ეს ბავშვი თითქოს ნიშანდობლივ, გარკვეულ ამბავს გვიყვება რომელიღაც გამოქვაბულზე და, თუ მოხდა სინამდვილეში ასეთი რამე?

ამ კითხვაზე ჯერ გველნაკბენივით შევხტი, როცა დავრწმუნდი, რომ ნიკუშას ჩვენი საიდუმლო გაეცა და ჩემს თავზე გავბრაზდი, რატომ ესეც არ გავაფრთხილე-მეთქი. მაგრამ, აბა, რას მოვიფიქრებდი, რომ შეწუხებული ავადმყოფიც საშიში გამოდგებოდა. ის თურმე პალატაში თავის ტოლა ავადმყოფებს მთელ ღამეს უყვებოდა ჩვენი ექსპედიციის ამბებს, თუ როგორ წავედით მდინარე ხმაურას სათავეზე, როგორ მოგვეკედლა შემთხვევით შეხვედრილი ობოლი ჯაბა, როგორ ვიპოვეთ კლდეზე მიდგმული ეკლესია, გამოქვაბული, საწყობები და, ერთი სიტყვით, მთელი ღამე არ დააძინა ავადმყოფები თავისი უცნაური თავგადასავლით.

ქალაქში აღზრდილი ბიჭები ისე მოეჯადოებინა თავისი უშუალობით და საინტერესო თხრობით ნიკუშას, რომ ერთ-ერთი გამოჯანმრთელებული ბიჭუნა, რომელიც უკვე გაწერილი იყო და იმ დილით უნდა წასულიყო სახლში, მშობლებს აღარ მისდევდა:

— დამაცადეთ რა, ამაღამაც აქ ვიქნები, ის ამბავი ჯერ არ დაუმთავრებია, შველი როგორ მოკლა სანადირო თოფით და შეგვპირდა — ამაღამ იმას გიამბობთო.

მე, რა თქმა უნდა, დავუდასტურე, რომ ნიკუშას ნაამბობი სიმართლეს შეიცავდა და არავითარი ბოდვა იქ არა ყოფილა, რის გამოც იმ პალატაში ნიკუშას ავტორიტეტმა ერთი ათად აიწია.

ერთ კვირაში საავადმყოფოდან გამოეწერა და სოფელში ვუპირებდი წაყვანას. მაგრამ ჯერ ვერ მიმყავდა, რადგან იმ ხნის განმავლობაში, რაც ნიკუშა საავადმყოფოში იწვა, მე თითქმის ყველა დაწესებულება მოვიარე, ვისთვისაც მინდოდა გამეგებინებინა ჩვენს მიერ აღმოჩენილი საიდუმლო გამოქვაბულის ამბავი, და ახლა დღე-დღეზე პასუხს ველოდებოდი.

ერთგან ასეთი რამ მახარეს: — ძველ ხელნაწერებში ეგ გამოქვაბული ცნობილი ყოფილა და მაჩვენეს კიდეც ის ხელნაწერი, სადაც ასეთი რამ ეწერა:

„სათაოსა მას მდინარისა ხმაურასი აღმოსავლეთით კლდესა შიგან არს ქუაბნი უჩინარნი დასაკრძალაუად განძთა ძვირფასთა ჟამსა აოხრებისა მტერთა მიერ ქუეყანისა ჩვენისაი. მუნ პალატსა ერთსა არს ხატი კედელსა ზედა განფენილი ერის მთავუარისა მიე იესესი, რომელმან აღაშენა ქუაბნი იგი ადგილსა მას უდაბურსა და მწირსა“.

ცხადი იყო, ჩვენს მიერ ნაპოვნ გამოქვაბულს ეხებოდა ის ხელნაწერი, მაგრამ, საკვირველია, თუ კი ისე ცნობილი იყო ერთ დროს, რომ მისი აღწერილობაც კი დაგვიტოვეს შემდგომმა თაობებმა, რატომღა დაივიწყეს და მიატოვეს ისე, რომ მისი არსებობაც აღარ ახსოვდათ.

ასეთი ფიქრები გვაწვალებდნენ, რომ ოფიციალური მოწერილობით სასიხარულო ამბავი გამაგებიხეს. მატყობინებდნენ, ექსპედიციის მონაწილე ყმაწვილები მზადა მყოლოდა ჩემს სოფელში, სადაც გაძოგვივლიდნენ და წაგვიყვანდნენ. ახლა კი გახარებული წავედი ჩემს სოფელში და ამათ მოლოდინში ძოთმინება მელეოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამასაც ბოლო მოეღო.

სოფელში ძაღლების ყეფა ატყდა. არ გაუვლია ორ წუთს, რომ თბილისიდან წამოსული ექსპედიცია ავტობუსით მოგვადგა კარზე და გვთხოვეს საჩქაროდ წავყოლოდით ჩვენი წინა ექსპედიციის ყველა მონაწილე.

რაკი დიდი სამზადისი არა გვჭირდებოდა, უცებ გამოვეწყვეთ სამოგზაუროდ და ავტობუსში ჩავსხედით.

ექსპედიციის უფროსი, პროფესორი, რომელსაც ბატონ გრიგოლს ეძახდნენ, მეტად პუნქტუალური და თავის ნათქვამა კაცი გამოდგა. ვთხოვეთ, რომ ცოტახანს ჩამოსულიყვნენ ავტობუსიდან, შეესვენათ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ძირს არავინ ჩამოუშვა. იმის გამოც, სანამ ჩვენ მანქანაში ჩავსხდებოდით, ნერვიულად დასჩერებოდა ჯიბის საათს და წამდაუწუმ გვიძახდა:

— აბა, ჩქარა, დროს ნუღარ დაგვაკარგვინებთ, არ დაგვაგვიანოთო.

არსენას წისქვილებთან რომ გავიარეთ, მანქანა ცოტახანს შევაჩერეთ, ხალხი ჩამოვიდა მუხლის გასაშლელად. მეწისქვილე ლაზარე შეშინებული შემოგვეგება, რადგან იმოდენა მანქანა ჯერ იქ გავლილი არასოდეს არ ენახა და ამდენი ხალხიც არასოდეს სწვევია მის წისქვილს. ხოლო ჩვენ რომ გვიცნო, სახეზე თავისებურმა სათნოიანმა ღიმილმა გადაურბინა და ჯაბას შესძახა:

— აი, ყოჩაღ! ღმერთსა ვთხოვ ასე გიმრავლოს ყოველთვის ამხანაგები და, ახლა თუ ამოდენა მანქანით ამოხვედი ამ ვიწრო გზაზე, ამას იქით გზებიც გაგეგანიერებინოს და რკინიგზაც გამოგეყვანოს. ისე შველა აქვს ლაზარეს, რომ მამაშენის შვილისაგან ეს არც გასაკვირია. აბა, შენ იცით და ლაზარემ მერე მე ჩამჩურჩულა:

— შვილო, ლადო! რაღა დაგიმალო, ყველასათვის კი არ იკმარებს და მგონი ყველა არც დალევს, მაგრამ თავკაცებს თუ შემოიყვან წისქვილში, ჩვენი ნაცნობი კვარტიანი ისევ კაი ხასიათზეა და ურიგო არ იქნებოდა თითოთითო ყანწით ე ჩემი ბუჭსულა წისქვილი დაგელოცათო.

პროფესორს რომ ვუთხარი, მეწისქვილე თითო ყანწ შვინდის არაყზე გვეპატიჟება-მეთქი, ესიამოვნა.

— ასეთ დაპატიჟებაზე უარი როგორ შეიძლება ვუთხრათ, — და შემომყვა წისქვილში, ლაზარე გაიცნო, თავის მნეს რაღაც დავალება მისცა და ექსპედიციის წევრებიდან სამი დარბაისელი კაცი მოიხმო.

ლაზარემ, რა თქმა უნდა, თავის ჩვეულებას არც ახლა უღალატა. ისევ ისე ლაზათიანად დაგვისხა მოზვრის ყანწში შვინდის არაყი, როგორც პირველი შეხვედრის დროს, და შესატანებლად იმ დილას სახეთქელაზე დაჭერილი და შაბში მოხარშული ფიჩხული გადმოიღო თიხის ჯამით მოპირქვავებულ თანგირა ქვაბის ქვეშიდან.

თურმე შესანიშნავი კაცი ყოფილიყო პროფესორი და მე კი პირველი დანახვის დროს რატომღაც მას ახირებული ვინმე ვუწოდე. იგი ლაზარეს გვერდით საფქვავის ნაკრული ტომარაზე ჩამოჯდა, მასპინძელივით ჩვენც მიგვითითა სად უნდა დავმსხდარიყავით და მეწისქვილეს მეგობრულად გადახვია ხელი.

წისქვილიდან გამოქვაბულამდე მანქანა ერთ საათს აღარ მონდომებია მისვლას, მაგრამ თურმე უკვე დაგვეგვიანა და რაღას მივიჩქაროდით.

ახლოს რომ მივედით, ელდა გვეცა: ეკლესიის გამოქვაბულში შესასვლელი ხვრელი შავად პირდაღებული დაგვიხვდა და საწყობები სულ დაეცარიელებინათ ვიღაც გარეწრებს.

ადვილი წარმოსადგენია თუ რა ხასიათზეც დავდგებოდი, მაგრამ რაღას ვუშველიდი? გრიგოლი კი მაინც და მაინც დიდად არ შეწუხებულა იმ ამბით, რომ „ბერდენკები", „სმიტ-ვილსონები", მათი ვაზნები, ბომბები შრიფტი და, რაც მთავარია, ორივე ჟურნალიც წაეღოთ.

— ეგ არაფერია, პატივცემულო ლადო! ჩემთვის ამას აქვს ღირებულება, აი, — და მიმითითა გამოქვაბულზე. — ეს კედლები კი რომ დაეზიანებინათ იმ არამზადებს, მაშინ აუნაზღაურებელ ზარალს მოგვაყენებდნენ. თოფები და რევოლვერები კი ამ ატომის ხანაში, აბა, რა სახსენებელია?!

კარგი იყო, პროფესორი რომ ასე ოპტიმისტურად მსჯელობდა იმის შემდეგ, რაც ჩვენ დაგვემართა, მაგრამ მან ამით ოდნავადაც ვერ დამამშვიდა. ცარიელა კედლები ვის რა თავის სახლელად უნდოდა? მართალია, ერთი ოთახის მზით განათებულ კედელზე, რომელიც მაშინ მე ვერ შევამჩნიე, გრიგოლმა იმ ერის მთავარ იესეს საღებავგახუნებული მკრთალი სურათიც აღმოაჩინა, რომლის შესახებაც მე თბილისში წამიკითხეს ერთ ძველ ხელნაწერში და სიხარულით გრიგოლი ცას ეწია, მაგრამ მე მაინც ვერ დავმშვიდდი. მე კიდევ არაფერი, ექსპედიციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელიც გვერია და იმ წუთში, როგორც კი გაიგო, იარაღი წაუღიათო, მოითხოვა სასწრაფოდ მთავარ გზამდე გამიყვანეთ მანქანით, იქიდან თბილისისაკენ მიმავალ მანქანას უნდა გაგყვეს.

პროფესორი ისე იყო ერის მთავარ იესეს ფრესკის აღმოჩენით გახარებული, რომ შოფერს უთხრა: თუნდაც თბილისამდე წაიყვანე, მე ჯერ მანქანა არა მჭირდება, სანამ გამოქვაბულს მთლიანად არ შევისწავლი და არ ავწერავო.

ამით ვისარგებლეთ მე, ჯაბამ, ნიკუშამ, გიამ და, რაკი არაფერი შვილი მეცნიერები ჩვენ არ ვიყავით და აღარც არავისა ვჭირდებოდით, მანქანას გამოვეყენეთ უკან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი რომ დაგვცილდა, ვთხოვე ნუ დაიზარებდა და, თუ იმ არამზადებს აღმოაჩენდნენ სადმე, პატარა ბარათით შეეტყობინებინა შედეგი.

მე განსაკუთრებით გაიოზის ჩანაწერებით სავსე იმ ჟურნალების ბედი მაინტერესებდა, რომლებიდანაც მაშინ მეასედიც კი არ ამომიწერია, და ვნანობდი, რატომ ისინი მაინც არ წავიღე თბილისში და გამოქვაბულში რად დავტოვე-მეთქი.

* * *

თბილისში რომ ჩამოვედი, ერთი თვის შემდეგ ნიკუშა ჩამოვიდა ჩვენი სოფლიდან და წერილი ჩამომიტანა. თურმე, სამინისტროს წარმომადგენელს, რომელიც ექსპედიციაში მონაწილეობდა და მაშინ სწრაფად დაბრუნდა თბილისში, ჩემთვის წერილი სოფელში გამოეგზავნა, რადგან თბილისური მისამართი დაჰკარგვოდა.



წერილში მწერდა — თუ იმ არამზადების საქმე გაინტერესებს, რომლებმაც გამოქვაბული გაძარცვეს და იარაღი წაიღეს, თბილისში ჩამოდი და ყველაფერს გაიგებო.

მე რაკი არსაიდან ჩამოსვლა არ მჭირდებოდა, მეორე დღესვე მივედი დანიშნულ ადგილზე, სადაც წერილით მიბარებდნენ.

თურმე ყველაფერი ნიკუშას ბრალი ყოფილიყო, იმას გაეცა ჩვენი საიდუმლოება. ნიკუშას რომ იქ, საავადმყოფოში წოლის დროს არ ეყბედნა და ავადმყოფებისათვის არ ეამბნა თავისი „საგმირო“ თავგადასავალი, გამოქვაბულს ეშმაკიც ვერ მიაგნებდა და მისი გაძარცვა აზრადაც არავის მოუვიდოდა.

იქ მოსმენილი ამბავი კი ერთ-ერთ ავადმყოფს თავის სახლში ეთქვა. სახლიდან მეზობლებს გაეგოთ, მეზობლებიდან — ვიღაც გარეწრებს და ერთ მშვენიერ ბნელ ღამეს გამოქვაბულს ავტომანქანებით მისდგომოდნენ. დაედოთ ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა და წაეღოთ მთელი იარაღი თავიანთი ვაზნებით, ბომბები და სტამბის შრიფტიც კი არ დაეტოვებინათ. ხოლო წაღებული იარაღის გასაღება მეცხვარეებში გადაეწყვიტნათ.

პირველი „ბერდენკა“ და „სმიტ-ვესსონი“ მწყემსებმა სიამოვნებით იყიდეს და საამისო „სახსრები“ ადგილობრივ გამონახეს. არც იმაზე დაეჭვებულან, თუ საიდან აქვთ ეს ძველი ყაიდის საბრძოლო იარაღიო, ხოლო როდესაც პირველს მეორე და მესამე მოჰყვა და თუ კი მყიდველი იქნებოდა, დიდი რაოდენობით სთავაზობდნენ თბილისის „ბიჭები“, მაშინ კი დაეჭვებულიყვნენ მეცხვარეები: — ესენი კაი ხალხი არ არიან, თორემ ვინ მისცათ ეს იარაღიო.

მწყემსებს თავიანთი ეჭვი ფერმის გამგისათვის გაეზიარებინათ, გამგეს თავმჯდომარისათვის ეთქვა, თავმჯდომარეს რაიკომის მდივნისათვის და „ქალაქის ბიჭები“ მახეში გაებნენ, რომელთა გვარებსა და სახელებს არ ვასახელებ, რადგან იმათ მხოლოდ ერთი სახელი შეიძლება უწოდოს კაცმა — არამზადა.

მაშ, რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ადამიანებს, ვინც ჩვენი წინაპრების მიერ ბრძოლებში გამოტარებული იარაღი ბაზარზე გასაყიდად გაიტანეს და იმით ხელის მოთბობა მოინდომეს?

იარაღის გარდა, მეცხვარეებთან „მამა გაიოზის“ მიერ ნაწარმოები ჟურნალებიც კი მოეტანათ და ერთ ბუმბულა ყველად მიეცათ. მეცხვარეებს კი ნაწერი ფურცლები ამოეხიათ, როგორც უკვე უვარგისები, და შიგ ყველსა და ხაჭოს ახვევდნენ, როდესაც დასჭირდებოდათ. ხოლო დაუწერელ ფურცლებზე თავიანთ ანგარიშებსა სწერდნენ.

მეცხვარეებს შრიფტიც თავიანთებურად გამოეყენებინათ. წვრილ-წვრილად დაეკუწათ იგი და საფანტის მაგივრად ივრის პირებზე მომრავლებულ კაკბის გუნდებს ესროდნენ.

როდესაც თურმე უსაყვედურეს მწყემსებს, თუ რატომ გაანადგურეს ესოდენ ძვირფასი ჩანაწერები, ერთმა მათგანმა გულუბრყვილოდ უპასუხა:

— აბა, შენი ჭირიმე, რა ვიცოდი რა ეწერა მაგ დავთრებში? მაგის წასაკითხად ან ვის ეცალა? მოიტანეს და დაყარეს ბინაში. კაცმა რომ თქვას, არც კი გვიყიდნია, ერთი კვერი ყველი კი ისე მივეცით, გზაში საჭმელად.

გული მეტკინა იმ ჟურნალების დაღუპვის გამო და ჩემი თავისთვის ვერ შეპატიებინა, თუ რატომ არ წამოვიღე თბილისში და ისინი მაინც რატომ არ გადავარჩინე-მეთქი. მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, გვიანღა იყო თითზე კბენანი.

მოთხრობა დაიბეჭდა შემოკლებით

კვლავ დაგიბრუნდი სკოლავ!

გაბრწყინებული თვალებით
გულში მზის სხივებს ვკონავ,
ახალთ-ახალი წიგნებით,
ბეჯით სწავლაზე ფიქრებით,
კვლავ დაგიბრუნდი, სკოლავ!
ზაფხულის დღეთა ნათელი
გულში მინთია ჯერაც,
ვით ვაქო ჩვენი ბანაკი,
მართლაც ზღაპრული ალაგი
და მეგობრობის კერა.
რაც მე იქ ვნახე, შევიტყე,
დღესვე ვუამბო ყველას,
მართლაც კარგია ბანაკში
ერთად გავლა და თამაში,
ერთად შრომა და ლხენა.
ბევრი გავიცან, ბეჯითებს
გავუხდი ძმად და ტოლად
და აი, ახლა, ამ დილით,
გამაღლებული, გაზრდილი
კვლავ დაგიბრუნდი, სკოლავ!
მოვრბივარ გალაღებული,
შორიდან ხელებს გიქნევ,
მშობელს კვლავ გულს გავუხარებ,
ვით წყაროს ამომქუხარეს,
დავეწაფები წიგნებს.
გაბრწყინებული თვალებით
გულში მზის სხივებს ვკონავ,
ახალთ-ახალი წიგნებით,
ბეჯით სწავლაზე ფიქრებით
კვლავ დაგიბრუნდი, სკოლავ!

მარი აბრამიშვილი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

25 საათი, ჯოელპაც

მთელ ჩვენს დიად სამშობლოს, მთელ მსოფლიოს ელვისებურად მოეფინა ახალი სასიხარულო ამბავი: კოსმოსში კვლავ გაფრინდა საბჭოთა ადამიანი! ეს ადამიანია მფრინავი-კოსმონავტი, მაიორი გერმანე სტეფანეს ძე ტიტოვი, რომლის სახელს ახლა დედამიწის ყოველ კუთხეში გაიგონებენ.

კოსმოსური ხომლადი „ალმასავლეთი-2“ დედამიწის ორბიტაზე 25 საათზე მოსკოვის დროით. გაფრენის ამოცანებს შეადგენდა:

გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანზე ხანგრძლივი ფრენა ორბიტაზე და შემდგომი დაშვება დედამიწაზე;

უწონობის პირობებში ხანგრძლივი ფრენის დროს ადამიანის შრომისუნარიანობის გამოკვლევა.

კოსმოსურმა ხომლადმა „ალმასავლეთი-2“, რომელსაც გ. ტიტოვი მართავდა, 25 საათის და 18 წუთის განმავლობაში 17-ჯერ შემოუფრინა დედამიწას და გადაალახა 700 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი, თითქმის ორჯერ მეტი, რაც დედამიწიდან მთვარემდეა.

მას შემდეგ, რაც შესრულებულ იქნა მეცნიერული კვლევის პროგრამა, კოსმოსური ხომლადი მშვიდობით დაშვება ნავარაუდევ რაიონში, იმ ისტორიული ადგილის ახლოს, სადაც დაშვება პირველი კოსმოსური ხომლადი „ალმასავლეთი-1“.

გ. ტიტოვი ჯანსაღად და ჩინებულად გრძნობს თავს.

კოსმოსის გამოცანები

Ა — „ᲘᲚᲘᲩᲘ“. ამ ასოს ყველა მეექვსეკლასელი შეხვდება, როდესაც ერთეულობანი განტოლების ამოხსნას იწყებს. მაგრამ „ᲘᲚᲘᲩᲘ“ მარტო ალგებრაში როდია. ამ ნიშნის უკან მრავალი გამოცანაა მოფარული დამალული. ადამიანი გამოდგებით უტეხს ამ ჯიუტ ნაბიჯს და გონების შეუპოვრობით დამარცხებული ერთიმეორეზე ამსხვრევდა ამოცანების ციხე-სიმაგრეები. ოდესღაც ძველი ადამიანებისთვის ყველაზეტი „ᲘᲚᲘᲩᲘ“ იყო ნის ზარა, ელვა, სიცოცხლე და სიკვდილი... მაგრამ გიორა საუკუნეებმა და ათასობით გამოცანა ახსნილი იქნა. დღეს ადამიანის სიღიდე ამ დონეზედ მივიდა, რომ ახლა ოგი არა მარტო დედამიწაზე, არამედ კოსმოსშიც ეძებს და ხსნის გამოცანებს.

ო

და როდი ნებდება ცბიერი სიმდელე, მაგრამ ადამიანი მაინც ამარცხებს მას.

1949 წელს სპეციალისტ მეცნიერმა ჩერნოფმა და მისმა თანამშრომლებმა ცაში პირველად ეფრქეს ცხოველები: ძაღლები, კუნაფლები... მას შემდეგ ბევრჯერ იფრინეს ოთხფეხებმა 100 კილომეტრის სიმაღლეზე, იფრინეს ბანაფენ, ვიღრე „ᲘᲚᲘᲩᲘ“ კიდევ უფრო ზეგით არ გადმოვაცილა.

მალე გამოჩნდა უფრო ძლიერი რაკეტები, მასზე ადამიანსაც კი შეეძლო ფრენა. მაგრამ ბალისტიკური რაკეტის სიჩქარეა და ფრენის ხანგრძლივობაც მცირე აქვს, ისე რომ უწონობის მოქმედებასაც კი ვერ მოასწრებ. საჭიროა ადამიანი პირდაპირ მოამზადოდეს ნამდვილი გაფრენისათვის! ასე გადაწყვეტეს საბჭოთა მეცნიერებმა.

თითქმის ათი წელი მიმდინარეობდა მზადება. მიფრინავდნენ ცაში ერთმეორეზე ძმიმე თანამგზავრები. ოდა ან 1961 წელს 12 აპრილს ᲘᲩᲘᲩᲘ ᲘᲘᲘᲘᲘ ᲘᲘᲘᲘᲘ გაგრინინა. იგი უწონობასთან 54 წუთი იყო „სტუმრად“. მომდეგ მსოფლიომ ᲘᲩᲘᲩᲘ მეორე კოსმონავტის, ამერიკელ ალენ შეპარდის სახელი, ამერიკელი ᲘᲩᲘᲩᲘᲩᲘᲩᲘᲩᲘ „ᲘᲩᲘᲩᲘ“ კოსმოსში, რომლითაც ᲘᲩᲘᲩᲘᲩᲘᲩᲘᲩ

ოლიმპიადა

თემურ სახაროვი
ფოტო ავტორისა.



ბაგრის დაუხმარებლად ძნელია მთის ჩქარი მდინარის გადალახვა.

ცხელა. ქალაქში სუნთქვა ჭირს. იქ კი, მაღლა, მთებში, ფშავის არაგვის პირას საამო გრილი ნიავი ჭრის. ავტებერთელ რეცხლების ჩრდილში კარვები გაუშლიათ მეხუთე რესპუბლიკური შეკრების მონაწილე ნორჩ ტურისტებს. პიონერებმა თავიანთი შეკრება საქართველოს უბადლო მომფერელის — დიდი ქართველი პოეტის ვაჟა ფშაველას ხსოვნას მიუძღვნეს. შეკრების მრავალი მონაწილე პირველად იყო ამ მხარეში, პირველად ხედავდა მთის ამაყი ბუნების სილამაზეს, ფშავს, ფშაველს არაგვს, ჩარგალს, ვაჟას სამშობლოს.

ბანაკის მარჯვენა მხრიდან მანქანების გუგუნი გაისმა. ყველამ იქით მიიხედა, ეს — მესამე ნაკადის ნორჩი ტურისტები მოვიდნენ. დამჭვდურნი და ანლადმოსულები ერთმანეთში აირიენენ. აგერ, ტყიბულელი თინა კახაძე და ზზია არჩვაძე ჩამდგარან თავიანთ თანატოლებში და ეუბნებიან ბანაკში მიღებულ მთაბეჭდილებებს.— აგერ იქ, ხედავთ,— და თინამ ხელი გაიშვერა დიფრირის მწვერვალისაკენ, — ჩვენი ბანაკის ნაკერები რაზმი ავიდა. ახლადჩამოსულებმა თვალი გაიცეცა ცერ დიფარეს, ხოლო ქვემ მოფუსფუსე, თბილისის პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის წევრებმა ერთმანეთს ფარული ღიმილით გადახედეს, თვალურ ავალშვილმა თვალი ერთ თენგიზ მალანიას, — ბენ ერთი ტრაბახობენო, — ბენ მერე თავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ.

— ბენ მაშრეტი ბანაკიდან დაიწყეს, — განაგრძობდა თინა, — ერთი საათის სიარულის შემდეგ ჩარგალში ავიდოთ; ვინახულეთ ვაჟას ბინა-მუზეუმი, ვესაუბრეთ მგალობლებს. ახლო ნათესავებს და მეგობრებს. მერე ისევ განვაგრძეთ გზა და შუადღისას ჩარგლის მთაზე ვიყავით ერთად. იქიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი ჩარგალი. ცოტა დასვენებ ... ბენ ... ბენ ... ბენ



ტურისტებმა ბონდიხ ხიდი გადაიარეს და „ვაჟას წყაროსთან“ შეისვენეს.

ფუსფუსებენ „მზარეულები“,—მალე მზად იქნება გემრიელი სადილი.



აახმაურეს არაგვისპირი. იმავე საღამოს ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი ვეებერთელა პიონერული კოცონი ააგიზგიზეს ნორჩმა ტურისტებმა. პატარა შემსრულებლები და დეკლამატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. აგერ ამხანაგების ჯგუფს ბათუმელი და-ძმა — ნათელა და თენგიზ ჩხარტიშვილები გამოეყო. მათ შესანიშნავად შეასრულეს ცეკვა „ქართული“. ბათუმელები ოსეთის წარგზავნილებმა შესცვალეს. ჯემა ოსტაევმა და ჟანა ბესტაევამ კარგად შეასრულეს სიმღერა „გლობუსი“ და თანატოლთა მოწონებაც დაიმსახურეს. ოსებს აფხაზები სცვლიდნენ, აფხაზებს კიდევ თბილისელები და ასე გვიან საღამომდე ისმოდა ბედნიერ პიონერთა წკრიალა ხმები.

მეორე დილით ყველაზე ადრე მორიგეები გამოძვრნენ კარვებიდან. ეთერ ნიკოლაიშვილი ფეხაკრეფით მიიპარა თავისი მეგობრის კარავთან და თამარ ზალიევა გააღვიძა, თამარმა — კოტე, კოტემ სოხუმელი გიორგი აიოლა და ვალერი კრავცოვი წამოყარა ზევით. ყველანი სამზარეულოსაკენ გაეშურნენ, იქ კი ყველასათვის მიესწროთ სტალინირელ ვასო სიუკაევსა და შოთა ქოქოევს. ბიჭები ცეცხლს აგიზგიზებდნენ.

დღე დღეს მისდევდა და ბანაკში ცხოვრება უფრო საინტერესო და ხალისიანი გახდა. ტურისტები არც ერთ წუთს უქმად არ კარგავდნენ; გულდასმით სწავლობდნენ კარვის გაშლას, კომპასით ორიენტირებას, ციცაბო ფერდობებზე სიარულს, მდინარეზე ბაგირის დახმარებით გადასვლას და ყველაფერს იმას, რაც ტურისტს მოგზაურობაში გამოადგება.

საღამო ხანი იდგა. პიონერებს თავისუფალი დრო ჰქონდათ. ბევრი

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲝᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲗᲘᲡ

ვაჟავ, შენ ჩვენო დიდებავ,
რამ დაგიღონა სახეო,
მე შენისთანა მგოსანი
დღემდე ვერსადა ვნახეო.

შენი შვლის ნუკრი გაზრდილა,
დღეს აღარ არის ობლადა,
მთის წყარო ბარად ჩამორბის
სიცოცხლის მახარობლადა.

არწივს მოურჩა ჭრილობა,
ცაში დაფრინავს ლაღადა,
ხოშარიც აშენებულა,
გადაფურჩქვნილა ბაღადა.

შენი სახელი ვადიდეთ,
ნუ დაგვიღონდი, ვაჟაო,
ნათელი გადგეს მარადის,
უკვდავება და ვაშაო.

ნოდარ ფარცახაშვილი.

თბილისის 54-ე სკოლის IV კლასის მოსწავლე

მათგანი წერილს წერდა მშობლებთან და მეგობრებთან გასაგზავნად. ერთ-ერთ გოგონას ფეხსაცმლის ლანჩა ავარდნოდა და ბიჭები უყურადღებოდ ხომ არ დასტოვებდნენ? სპორტულ მოედანზე სოხუმელები და ბათუმელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ფრენბურთში ერთი სიტყვით, ყველა რაღაცით იყო გართული, როცა ბანაკში წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები შემოვიდნენ ორმწკრივად დაწყობილნი. ნეტავი ვინ არიან? — ყველას ერთიდაიგივე კითხვა დაებადა.

ეს, რუსთავის პიონერთა ბანაკის ნაკრები რაზმი ეწვია სტუმრად ტურისტებს სურამიდან. დაფაცურდნენ მასპინძლები, უშველეს კარვების გაშლაში და ვახშმის შემდეგ ვეებერთელა კოცონთან მეგობართა კონცერტი გაიმართა. ისედაც ახმაურებული არაგვისპირი კიდევ უფრო ახმიანდა და გამხიარულდა. ცამდის აწვდილი კოცონის შუქზე გაჩაღდა ცეკვა-თამაში, გაისმა ხმაშეწყობილი პიონერული სიმღერები და ამ საერთო მხიარულებას ბანს აძლევდა მშფოთვარე არაგვი.

დიდხანს, დიდხანს დარჩება ბედნიერ პიონერთა მეხსიერებაში ფშავის არაგვის პირას გატარებული მხიარული დღეები.

რაჭომ მცირდება სამუშაო დღე?

ვპასუხობთ შეკითხვაზე



ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ შემცირდა სამუშაო დღის ხანგრძლიობა. ახლახან გამოქვეყნებულ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში სწერია, რომ სამუშაო დღე მალე ექვს საათამდე შემცირდება და ბოლოს, ორი დასვენების დღეც კი იქნება კვირაში. ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ფაბრიკა-ქარხნებში ნაკლები პროდუქცია დამზადდება?

ამ საკითხზე რედაქციაში პიონერმოსწავლეთა მრავალი შეკითხვა შემოვიდა.

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი იმისათვის კეთდება, ადამიანმა რაც შეიძლება უკეთ იცხოვროს. ეს იმიტომ, რომ ჩვენვე ვართ ჩვენი თავის ბატონ-პატრონნი, ჩვენვე ვაწესებთ თუ რამდენი უნდა ვიმუშაოთ, რამდენი უნდა დავისვენოთ. სამუშაო დღე თანდათან მცირდება, მაგრამ ხელფასი არა თუ იკლებს, არამედ იზრდება. რატომ მოხდა, რომ მხოლოდ ახლა გადავწყვიტეთ სამუშაო დღის შემცირება? აი, რატომ: დღეს ჩვენ გაცილებით მდიდრები ვართ, ვიდრე წინათ.

სამუშაო საათი პატარა დრო როდია. ერთ წუთში ჩვენს ქვეყანაში 100-ზე მეტი ტონა ლითონი იქცევა მანქანად და ავტომატად. თითქოს გამოდის, რომ თუ სამუშაოს ერთი საათით შევამცირებთ, ქვეყანას საკმაოდ ბევრი პროდუქცია მოაკლდება. არა! სამუშაო დღეს ჩვენს საზარალოდ როდი ვამცირებთ. ამის უფლებას გვაძლევს დაგროვილი სიმდიდრე, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

რასაკვირველია, გაგონილი გექნებათ შესანიშნავი დაზგებისა და მანქანების შესახებ. იცით, ალბათ, რომ ბევრი შახტი მეშახტის გარეშე მუშაობს, წაგიკითხავთ მიწისმთხრელ მანქანებზე. ეს ის მანქანებია, რომლებიც ათასობით ადამიანთა შრომას ცვლის.

შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს:— ეს კარგი, მაგრამ ხომ გაცილებით მეტ პროდუქციას მივიღებდით, და ბევრად მდიდრები ვიქნებოდით მეტი რომ გვემუშავა. განა ზედმეტი იქნება ჭარბი სიმდიდრე?

ეს ერთი მხრივ სწორია.

მაგრამ ჩვენს სახელმწიფოში სიმდიდრე თვითმიზანი როდია.

აბა, წარმოიდგინე ადამიანი, რომელსაც კარგი ბინა აქვს, ლამაზი ავეჯი, ტელევიზორი, რადიომიმღები, ბიბლიოთეკა.. თვითონ მას კი შინ ცოტა ხანს უხდება ყოფნა. შრომობს. შრომობს იმისათვის, რომ კიდევ შეიძინოს რაიმე და ოჯახის ნივთებს მიუმატოს. მაგრამ განა მარტო ნივთების შეძენაშია საქმე?..



განა მარტო გამდიდრებაზე უნდა იფიქროს კაცმა?

1964 წელს უკვე შემცირებულ სამუშაო კვირაზე გადავალთ. მოვა ისეთი დრო (და ეს ძალიან მალე იქნება), როდესაც მშრომელებს კვირაში ორი დასვენების დღე ექნებათ.

ადამიანი ნაკლებად დაიღლება, სრულყოფილი მანქანა გვერდში ამოუდგება მუშას, გლეხს, სულ უფრო და უფრო გაანთავისუფლებს მათ მძიმე ფიზიკური შრომისაგან.

წარმოიდგინეთ, რომ 1967 წლის ერთ-ერთ საღამოს შინ ბრუნდებით სამსახურიდან ან ინსტიტუტიდან. წინ მთელი საღამო და ორი დასვენების დღეა.

რას გააკეთებთ?

ცხადია, ხუთი დღის შრომის შემდეგ წიგნს აიღებთ ხელში ან კინოში წახვალთ. პირველი დღე შეიძლება ტურიზმისათვის გამოიყენოთ. მეორე დღეს იმას მოჰკიდებთ ხელს, რაც გიყვართ: მუსიკა, მხატვრობა, ფოტო, ხელოვნება... თქვენს განკარგულებაში იქნება საქარხნო კლუბი და სამხატვრო სტუდია, უნივერსიტეტის აუდიტორია და სახალხო თეატრის სცენა.

ჩვენში ახლაც ბევრია მუშა-მხატვარი და მუშა-პოეტი, ბუხჰალტერი, რომელიც ამავე დროს მსახიობია, მწველავი—მომღერალი და ა. შ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კომუნიზმის ადამიანი ყოველმხრივ განვითარებული, მაღალი მორალური თვისებებისა უნდა იყოს, ამისათვის აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი, სამსახურისაგან თავისუფალი დრო ექნეს მშრომელს, რათა მან რაც შეიძლება სრულყოფილად განავითაროს თავისი ნიჭი და შესაძლებლობა.

ყოველივე ამის გარანტიას ჩვენ გვაძლევს კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი და ეს ცხოვრებაში მალე განხორციელდება.

ჯოტი

ელენე გოგოლაშვილი

ნახ. **გ. თოთიბაძისა**

მოთხრობა

— აი, შენ ამბობ, რომ საკუთარ სახელს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ივანე ერქმევა ადამიანს, თუ პეტრე, რომ ეს არ არის არსებითი, მთავარია მისი საქმიანობა. მართალია, მეც მაგ აზრისა ვარ, მაგრამ ხშირად თვით ადამიანი ალამაზებს სახელს,—დაიწყო ჩემმა ამხანაგმა გიორგიმ და თითები აათამაშა მაგიდაზე, — გეუბნები, რომ ამას წინათ ჩემს გოგონას ამხანაგები მოუვიდნენ. მეცადინეობის შემდეგ ისვენებდნენ და საუბრობდნენ. რა არ გაიხსენეს, ვის არ გაჰკრეს კბილი... ხომ მოგეხსენება ახალგაზრდების ამბავი და, არც მასწავლებელი დატოვეს. პატარა ჯოტი ახსენეს... რამდენი მოგონება გვაკავშირებს ამ სახელთან...

— როგორ არა, — უცებ შევაწყვეტინე ლაპარაკი გიორგის და ბავშვობამ საოცარი სისწრაფით ჩამიარა თვალწინ...

პირველ კლასში რომ მიმიყვანეს, იმ დღიდან მახსოვს ეს სახელი. მასწავლებელს ეძახდნენ, მაგრამ რად შერქმიათ, ეს კი ვერ გავიგე. ერთმა ბიჭმა ისიც კი მითხრა, თითქოს სკოლაში ყველაზე ადრე მოდის ხოლმე და იმიტომ დაურქმევიათო.

მეხუთე კლასში გადავედი. პირველ სექტემბერს გულისფანცქალით ველოდი. სკოლაშიც დროზე ადრე მივედი, ჩემი ადგილი დავიკავე... ზარის დარეკვის შემდეგ კლასში შემოვიდა საშუალოზე მაღალი, მხრებში გაშლილი მასწავლებელი. ქვეშ-ქვეშ გავხედე. ქართული, კეხიანი ცხვირი ჰქონდა, სანდომიანი გამოხედვა. თავზე ნაწნავად შემოხვეულ სქელ თმაში ოდნავ გაება ქსელი ჭაღარას. თეთრი საყელოთი დამშვენებული ლურჯი ხალათი ბოლომდე ღილებით შეეკრა. გაგვიღიმა და მშვენიერი მწყობრი კბილები გამოუჩნდა.

— დასხედით, ბავშვებო,— თქვა მან, კათედრაზე ავიდა, ჟურნალი გადაშალა, — დღეიდან მე გასწავლით ქართულ ენასა და ლიტერატურას. ჩვენი მიზანია დავეუფლოთ დედაენას, ჩვენს მშვენიერ ქართულ ლიტერატურას. გამართული კარგი ქართულით უნდა მეტყველებდეს მოქალაქე, რომელსაც წილად ხვდა ის ბედნიერება, რომ იწოდებოდეს შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის ერის მემკვიდრედ. როგორ ფიქრობთ, განა გვეპატიება ამ დიდ წინაპართა ცუდი მემკვიდრენი ვიყოთ?

„ამას ეძახიან ჯოტს?“ — გაოცებით ვკითხე ჩემს თავს, რადგან ვერაფერი შევნიშნე ისეთი, რომ რაიმე საერთო ჰქონოდა მასწავლებლის შერქმეულ სახელთან.

... აი, კვლავ ჩვენი კლასი და, რომ იტყვიან, ტანსაცმელიანად გიჟი გოგო-ბიჭების მთელი გუნდი, მაგრამ გაკვეთილზე მდუმარენი და მორჩილნი.

გადიოდა ხანი. მთელ კლასს ძალიან შეგვიყვარდა მასწავლებელი. მარცვალ-მარცვალ არჩევდა საუკეთესო მასალას და თანაზომიერად, აუჩქარებლად ზრდიდა ჩვენი გონების ჰორიზონტს. შეუმჩნევლად შეგვაჩვია ლექსიკონზე მუშაობას. და ასე, წლების მანძილზე, ნება-ნება შეგვასწავლა მშობლიური ლიტერატურა. ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, ასე მგონია, სკოლიდან მხოლოდ ჩვენი სასიქადულო მწერლების სიყვარული წამოვიღე მარტო მე კი არა, აი, გიორგიმაც, თინამაც, ყველამ, ყველამ, მაგრამ განსაკუთრებით თინამ.

—გახსოვს, რამ გადააწყვეტინა თინას პედაგოგობა?

— როგორ არა, — გულიანად გადაიხარხარა გიორგიმ, უცებ წამოხტა, ორივე ხელით მაგიდაზე დაგდებული ჩანთა აიტაცა, გულში ჩაიკრა და მინაზებული ხმით თქვა: — მასწავლებელო, დირექტორმა დამიშვა, შეიძლება დავჯდე?

კვლავ თვალწინ დამიდგა ის დღე, როცა თინამ საბოლოოდ აირჩია პროფესია.

გვიანი შემოდგომა იყო. მართალია, ჯერ ღუმელების ანთება არ დაეწყოთ, მაგრამ ლოგინი საგრძნობლად გაგვიტკბა, დილით ადრე ადგომა გვეზარებოდა. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით ყველა მოსწავლემ იცის, რომ დაგვიანება არ შეიძლება. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვიცოდით. თინამაც იცოდა... მაგრამ კვირაში ერთ დღეს თუ გამოურევდა, რომ არ დაეგვიანა, თორემ ისე ყოველთვის შუა გაკვეთილზე შემოაღებდა ხოლმე კარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენჯერ გააფრთხილეს, რამდენჯერ დადო პირობა. მერე დედაც დაუბარეს ერთხელ... ორჯერ...

დაკეტილ კართან დიდხანს აღარ უტრიალია გოგონას, იმისაც თუ შეშინებია, მორიგე მასწავლებელმა არ შემნიშნოსო, და უცებ მიუღია გადაწყვეტილება: სკოლას, ყრუ კედლის მხარეს, ხანძრის შემთხვევისათვის სათადარიგო რკინის კიბე რომ აქვს, რომელიც საკვამლე მილთან ადის, იმაზე აცოცებულა და პირდაპირ სახურავის ქვეშ ამოუყვია თავი. რაკი შენობაში მოხვდა გოგო, მაშ ხიფათსაც გადარჩა; გულმშვიდად გადაუსვა ჩანთას ხელი, თვითონაც ჩამოიბერტყა კაბა და პირდაპირ შემოაღო კლასის კარი თამამად.

საქმე იმაში იყო, რომ საპატიო მიზეზით დაგვიანების შემთხვევაში დირექტორი მოსწავლეს ნებას აძლევდა შესულიყო კლასში და მასწავლებელიც, რაკი იცოდა, რომ დაკეტილ კარში უმიზეზოდ დაგვიანებული მოსწავლე ვერ შემოვიდოდა, აღარ სთხოვდა არავითარ განმარტებას. ახლაც ამ იმედით განაცხადა თინამ:

— მასწავლებელო, დირექტორმა დამიშვა, შეიძლება, დაჯდე?

კლასში ჯერ სიჩუმე ჩამოვარდა, მერე უცებ სიცილი ატყდა. თინას გამოსავალი კი მოეფიქრებინა, მაგრამ სიჩქარეში, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩენოდა, რომ საკვამურ მილზე გადმოვიდა და სახეგამურული გამოგვეცხადა.

— მასწავლებელო! — შესძახა ვახტანგმა და უკანა მერხიდან წამოხტა. მერე ხელი ჩაიქნია და ისევ დაჯდა, სათქმელი გადაყლაპა.

ძნელი გასაჩერებელი იყო ახმაურებული კლასი, რომლის წინ გულშიჩანთაჩაკრული, გამურული თინა ყურებამდე გაწითლებული, გაოგნებული იდგა და ვერაფერს მიხვედრილიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ ისეთი საოცარი.

მასწავლებელმა თინას თვალებში ჩახედა, შემდეგ კლასს მიუბრუნდა და ხმა არ ამოუღია. იცდიდა, როდის ჩამოვარდებოდა სიჩუმე.

— სსს-უუ! — გადაურბინა კლასს ჩურჩულმა და მალე სიჩუმეც გამეფდა.

— დირექტორმა ნება მოგცა, თინა? კარგი, დაჯექი. — უბრალოდ, მაგრამ მკაფიოდ გაუსწორა თინას შეცდომა მასწავლებელმა.

თინამ ფეხი ვერ მოიცვალა, ჩანთის ბოლოს კბილებით წიწკნიდა. მიხვდა, რომ მასწავლებელმა მის თვალებში ტყუილის ფესვები დაინახა და ამან უფრო წაუხდინა საქციელი.

— დაჯექი, თინა! — კვლავ მიმართა მასწავლებელმა და ხელი დაადო მხარზე. — გაკვეთილი უნდა განვაგრძო, — შემდეგ თვითონ წაიყვანა გოგონა მერხისკენ და ჩუმად უთხრა: — გაკვეთილების შემდეგ ვილაპარაკოთ...

კლასში კვლავ ჩურჩული გაისმა, მაგრამ მასწავლებლის მომთხოვნი ტონით წარმოთქმულმა სიტყვებმა ყველაფერი დაფარა:

— დიახ, ბავშვებო, ჩვენ ვსაუბრობდით...

გაკვეთილი ჩვეულებრივ გაგრძელდა.

„მოლაპარაკება გაკვეთილების შემდეგ და დირექტორთანაც წამიყვანს. ისევ-ისევ გამოიძახებენ დედას, ახლა ესღა უნდა? ყველაფერს კიდევ ტყუილი მიემატება...“ — ფიქრობდა თინა და უფრო მეტად უთრთოდა გული. რაც მეტს ფიქრობდა, იმდენად ძლიერად იტანდა მოსალოდნელი უსიამოვნების შიში.

ზარის შემდეგ ბავშვები ჟრიამულით არ აშლილან, ყველა მასწავლებელს მისჩერებოდა, თინა თითქოს ყველას დავიწყებოდა. გოგონა შორიახლო იდგა შემკრთალი.

— თინა, შემოდი, გეთაყვა, სამასწავლებლოში და სახიდან მური მოიშორე. — უბრალოდ უთხრა მასწავლებელმა და კლასიდან გავიდა.

კარგა ხანს იცდიდა თინა, როდის გამოიძახებდნენ დირექტორთან, მაგრამ არ იქნა და არ დაიბარეს, არც კლასის ხელმძღვანელს უთქვამს რაიმე, არც დედა დაუბარებიათ...

ჩემთვის არავის უთქვამს საიდუმლოდ, მე თვითონ ვიცი, რად შეირქვა თინამ სახელი „პატარა ჭოტი“, მაგრამ იქნებ ზოგიერთ მოსწავლეს ჰგონია — იმიტომ, რომ სკოლაში დილით ყველაზე ადრიანად მოდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშხეთის აგარაკზე

მწერალი ქალი **ბაბილინა ხოსიტაშვილი** აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. თავის ძმასთან, გამოჩენილ მწერალ ირონიონ ევდოშვილთან (ხოსიტაშვილთან) ერთად, თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ პრესაში, განსაკუთრებით საბავშვო ჟურნალებში—„ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“. ამჟამად იგი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ მის ახალ ნაწარმოებს „ქვიშხეთის აგარაკზე“.

ბაბილინა ხოსიტაშვილი

ქვიშხეთში მივესწრაფი,
ხეთა ქვეშე მდებარებს,
ის იზიდავს ზაფხულში
მრავალ სტუმარს მგზნებარეს.

ქვიშხეთს კიდევ რად ვეტყვით?
ქვიშაა იქ მრავალი.—
ლაფს ალოდეს აიკრავს
გზაში ფეხით მავალი.

პიონერ-ბანაკებით
იქ სავსეა ტყეები;
სიგრილეში მიჰქრიან
საამური დღეები.

აქვე აგარაკობენ
სულ საბავშვო ბაღები;
პატარა აღსაზრდელნი,
ჩვენი ქვეყნის ნაღები.

ოჰ, ქვიშხეთის ჰაერი
ბავშვებს ერთობ უხდება;
მერე მიწვევს მიდამო
და აღარცა ვგვიანობ.

ხან საქმე, ხან გართობა
წესია და ვალია;
აგერ ჩვენი ბავშვებიც
აღმზრდელს მოუყვანია.

აქ, ბორცვზე საყდრის ნანგრევს
მხატვარი ესაფრება;
სურს ტილოზე ასახოს
მთები მწვანე აფრებად.

აქ ხასხასა მთის წვერი
თითქო ცას აბჯენია;
ხშირი ტევრით მოსილი
ეს საუნჯე ჩვენია.

ძირს გაშლილა ტაშირი,
მარჯვნივ ტაშის-კარია;
ამ კარით მომდინარე
ჩვენი დედა მტკვარია.

ოჰ, რა მიწა-წყალი გვაქვს
ლიხს იქით და აქეთა;
ბუნების მოყვარულნო,
ეთაყვანეთ, აქეთა.



ნახ. **გ. თოთიბაძისა**

მათთვის უჰაერობით
ნულარვინ შეწუხდება.

ბავშვების და მწერლების
აქ შეხვედრა ეწყობა;
სიტყვა-კაზმულობაში
პაექრობენ ეტყობა.

აქვე მთის კალთაზედ ხომ
მწერალთ აგარაკია;
ამ სახლის ფუძემდები
მკვლელობის ზვარაკია [1]).

ვიშ, რა ვრცელი ეზოა,
ხეხილ-ჩრდილი, ფერდობი;
მობიბინე ბალახიც
გულს განკურნავს, ვენდობი.

მეც ერთ მცირე სენაკში
მყუდროთა ვსაქმიანობ;

[1]) იგულისხმება ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი დიმიტრი ყიფიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ეზოში დავეშვი,
გამოშლილან ბალღები;
ერთიც დეიდას მოჰყავს,
ცქვიტი, ალღოს ამღები.

მეორე თავის დედას
წინ მოუხტის რბენითა:
გაგაოცებთ, გაგართობთ
მოტიტინე ენიოთ.

ჯერ კი ჯოხი ავიღე,
ალმართზე დასაბჯენად:
მინდა მტკვარს გადავხედო,
მე ასე მსურს ამჯერად.

რაკი თვალს შემავლებენ,
ხელ-ჯოხიანს, თეთრთმიანს,
ჩემსკენ წამოიწევენ,
ვგონებ ჩემს ჯოხს ეტრფიან.

დღესაც, ხვალაც, მასზეგაც
ასე წინა მხვდებიან;
ხელს მიწვდიან ძახილით:
— ჯოხი მინდა, ბებია!

უნდა მივცე, რომ შეჯდეს
და ცხენივით აჭენოს;
ეგებ თავის დეიდას
სიჩაუქე აჩვენოს.

ვფიქრობ: ნეტავ რას იქმენ,
როცა დაგვეზრდებიან,
რა მიზანს აირჩევენ,
რა გზით დაგეზდებიან.

ეს პატარა ბიჭუნა
ტიტანი თუ დადგება,
მაშინ თავდადებული *)
სამარიდან ადგება.

ან რას მოიმოქმედებს
თავის ქვეყნის არეზე:
აქ შესწავლილ „ქართლის ბედს“
წაიკითხავს მთვარეზე?

ჰო, ეს მცნება შენდამი,
მომავალო ტიტანო,
გთხოვ, ქვეყნის საგანგაშოდ
მთვარეზე აიტანო.

მაგ პატარა აღსაზრდელს
ასე აღზრდი აღმზრდელო,
რომ კოსმოსურ არემდე
გაიტანოს მან ლელო.

ჩვენი მგოსნის ღაღადისს
თუკი მთვარეც გაიგებს,
ბარაქალა იმ ყმაწვილს,
ვინც მას იქით წაიღებს.

გურჯისტანი ძველთაგან
სილამაზით ქებული,
მრავალ მტაცებელთაგან
იყო მიტაცებული;

მაგრამ სიბრძნეს მივენდეთ;
სიბრძნეს ვინ არ ნდობია;
ყველა ვამბობთ, რომ წარსულს
ჩვენი აწმყო სჯობია.

რომ ჩვენს პატარა ერსაც
კვლავ შვილნი ეზრდებიან;
პატარა ბალღებიდან
ბუმბერაზნი დგებიან.

თუმც ჩვენს ახალ ეპოქას
ხმალი აღარ სჭირდება;

ჩვენი მეცნიერებით
დღეს მთვარეც გაკვირდება.

ამ დღეს, ჩვენო ბავშვებო,
ჩვენც ვზეიმობთ საჩვენოდ;
კომუნიზმის ალამი
ცის მნათობებს ვაჩვენოთ.

*) იგულისხმება დიმ. ყიფიანი.

ვინია?

ნ. ნოსოვი ნახ. **მ. დაუშვილისა**

ამაში სულ ბორია მოშკინია დამნაშავე! სულ იმის ბრალია, რომ კლასში უწესრიგობაა. სანამ ის მოვიდოდა, ჩვენთან ყველაფერი რიგზე იყო. გასულ წელს პირველ ადგილზეც კი გავედით. ახლა კი უკანასკნელ ადგილზე ვართ და ეს სულ მოშკინის ბრალია. არა, მოშკინის კი არა, არამედ იმისა, რომ ბავშვები აბრაზებენ ერთმანეთს. წინათ ჩვენთან არავის არ აბრაზებდნენ, ეგ იყო მხოლოდ: კოზლოვს თხას ეძახდნენ, ეს იმიტომ, რომ მას ასეთი თხის გვარი აქვს. ახლა კი მოშკინი ყველას ზედმეტ სახელს უგონებს. ის წელს ჩვენთან სხვა სკოლიდან გადმოვიდა, კლასში პირველად მარია იაკოვლევნამ შემოიყვანა და გვითხრა:

— ბავშვებო, ჩვენთან გადმოვიდა ახალი მოსწავლე, ბორია მოშკინი. არ გააჯავროთ, კარგი ბიჭია.

ჩვენ შემოვეხვიეთ მოშკინს. მან კი გვითხრა: რას მომჩერებიხართ, ცუგრიებო?

„კარგი! თუ აგრეა, ვნახოთ!“ — გავიფიქრეთ ჩვენ.

მოვცილდით და აღარ განვაგრძეთ მასთან ლაპარაკი. მაგრამ თხამ სამკერდე ნიშანი დაუნახა, მივიდა და ეუბნება:

— მომეცი ნიშანი!

— არაფერსაც არ მოგცემ, მტაცებელო!

როგორც კი მტაცებელი უწოდა, ჩვენ უმალ გაგვიხარდა, დავუწყეთ თხას გაბრაზება და „მტაცებელი“ შევარქვით. მოშკინმა კი სხვა ამხანაგებსაც დაუწყო ზედმეტი სახელების შერქმევა.

ერთხელ მარია იაკოვლევნამ გაიძახა გაკვეთილზე მიშა ფირსოვი და მოსთხოვა წაეკითხა ლექსი „აი, ჩემი სოფელი“. ფირსოვი გამოვიდა და ცერცვივით მიაყარა.

— მოიცა! მოიცა! — ამბობს მარია იაკოვლევნა.—ლექსი აზრიანად, გრძნობით უნდა თქვა, შენ კი მიაყარე ბალალაიკასავით...

მოშკინმა მაშინვე აიტაცა ეს სიტყვა და მას შემდეგ ფირსოვს „ბალალაიკას“ ეძახდა და აბრაზებდა. მას სხვებმაც მიბაძეს.

ერთხელ ანდრეევმა თავისი მერხის გარშემო დაყარა ქაღალდები, ვაშლის ნაფცქვენები და დაჯდა. ბელკინი კი, რომელიც მორიგე იყო, მივიდა და ეუბნება:

— შენ რა გოჭივით დაანაგვიანე!

მოშკინმა ეს სიტყვაც აიტაცა. ერთი სიტყვით, ყველას კბენდა. ვალია სმირნოვს დაარქვა „ყიყინა“, რადგანაც ვალია ყოველთვის ნადირობაზე ყვება და იხვებს ყიყინებს უძახის; მიტია ვასილევს „ლურსმანა“ შეარქვა, თუმცა არ ვიცი რატომ; ვლასოვი „კოპწიად“ მონათლა იმიტომ, რომ იგი ყოველთვის ძალზე სუფთაა და თმაგადასლექილი; ზინა იაკუშევას „ნობელა ჭრიჭი ხტუნია“ დაარქვა იმიტომ, რომ ზინას, იმის მაგივრად, რომ ეთქვა „ჭრიჭინობელა ხტუნია“ როგორღაც „ნობელა ჭრიჭი ხტუნია“ წამოცდა. მეც დამარქვა, თქმაც კი მრცხვენია... „ძაღლის ცხვირა“! აბა, რა ძაღლის ცხვირა ვარ მე? ცხვირი მე სრულიადაც ჩვეულებრივი, ადამიანური მაქვს. ერთი სიტყვით, ყველას შეარქვა ზედმეტი სახელი. და ისეთი ამბავი დატრიალდა! მოყოლაც კი სი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რცხვილია. დაიწყება თუ არა გაკვეთილი, იმ წამსვე რომელიმე ჩვენგანი ჩუმად დაიღრუტუნებს, ყველა იცინის, გოჭი კი ბრაზობს. ანდა, კოპწიამ რა გამოიგონა! ზის ჩუმად, რომ მასზე არავინ ეჭვი არ მიიტანოს. ეშმაკობს: — ერთ ხელს ჰაერში აქნევს, მეორეთი კი თითებს ამოძრავებს, თითქოს ბალალაიკაზე უკრავსო.

ბალალაიკა მოთმინებიდან გამოდის:

—ეჰ, შე კოპწია! ჯერ მოიცა! მე შენ გაჩვენებ შესვენებაზე სეირს!

მთელი კლასი ხარხარებს.

ასეა ყოველდღე. ბავშვები არ ისვენებენ, გაკვეთილს არ უსმენენ. დისციპლინა დაეცა, სწავლას მოუკლეს. აი, ამის გამო ჩვენ პირველი ადგილიდან თანდათანობით ბოლო ადგილზე აღმოვჩნდით. დავიწყეთ ფიქრი: როგორ მოვიქცეთ? შემდეგ კი მოვიწვიეთ კრება.

ყიყინამ თქვა:

— ამაში სულ მოშკინია დამნაშავე! ის არის მთავარი ამრევი. საჭიროა შევიკრიბოთ და მაგასაც მოვუგონოთ ზედმეტი სახელი, რომ თვითონაც იწვნიოს, თუ როგორია სხვისი გაჯავრება!

— ზედმეტი სახელის შერქმევა არ არის საჭირო, — უპასუხა კოპწიამ, — პირიქით, მოშკინსაც უნდა ავუკრძალოთ გამოგონება. მერე კიდევ, გაკვეთილებზე ენას ნუ მიყოფს!

— რაღა უნდა ავუკრძალოთ, როცა მან უკვე ყველანი მოგვნათლა ზედმეტი სახელით! პირიქით, გაუშვი დაგვცინოს. ოღონდ საჭიროა, ჩვენ არ გავბრაზდეთ, — ამბობს ლურსმანა.

— როგორ თუ დაგვცინოს? — თქვა მტაცებელმა, — შენ, ლურსმანავ, არაფერი გაქვს გასაბრაზებელი, იმიტომ, რომ — ლურსმანს გეძახიან და ამაში, აბა, რა არის საწყენი? მე კი მწყინს — მტაცებელიო!

— როგორ თუ მე არა მწყინს! ლურსმანას შერქმევა ძალიან საწყენია! რა ლურსმანი ვარ მე? ადამიანი ვარ!

ნობელა-ჭრიჭი კი ამბობს:

— საერთოდ, არ უნდა გავაბრაზოთ ერთმანეთი და საწყენიც არაფერი იქნება.

— მართალია! — ამბობს გოჭი, — სწორედ ასე უნდა დავადგინოთ: არ გავაჯავროთ ერთმანეთი. ვინც ამას ჩაიდენს, მას მთელი კლასი გამოაჯავრებს. მაგრამ ამდაგვარ ღონისძიებით მაინც არაფერი გამოგვივა, იმიტომ, რომ ჩვენ გადაგვავიწყდა კიდეც ვის რა ჰქვია სინამდვილეში.

— რატომ არ გამოვა? — ამბობს ბალალაიკა, — ერთბაშად, რასაკვირველია, არაფერი გამოვა. საჭიროა გადავეჩვიოთ ნელ-ნელა, მაშინ გამოვა. წესრიგიც დამყარდება და სწავლასაც განვაგრძობთ გაცილებით უკეთესად.

ასეც დავადგინეთ: გადავეჩვიოთ თანდათან. კარგადაც მოვიქეცით! ახლა შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. მართალია, მთლად ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, ზოგიერთებს უჭირთ გადაჩვევა. მე კი დიდი ხანია გადავეჩვიე. აი, ლურსმანა კი ჯერ არ გადაჩვეულა, არა, ლურსმანა კი არა, ის, რა ჰქვიან... ვასილევი. ყიყინა კი... ფუ! ყიყინა კი არა, სმირნოვა; აგრეთვე, ჯერ კიდევ ვერ გადაეჩვია ფინია, ფინია კი არა — მოშკინი... ეს ჩვენ დავარქვით მას ფინია, იმიტომ რომ ფინიასავით ყველას კბილს გაჰკრავს ხოლმე.

თარგმნა **ბორის მირცხულავამ.**

კარგ

მოსავალს ელიან

როცა ცხაკაიას გასცდებით და გეგეჭკორისაკენ გაუხვევთ, გზად ძველ სენაკში, დიდი ხეხილის ხეივანი და ორსართულიანი შენობა შეგხვდებათ. ეს სახლი არის სენაკის საშუალო სკოლა, ეს ხეივანიც სკოლას ეკუთვნის. ახლა ზაფხულია, არდადეგები, მაგრამ აქ გარშემო ერთი ალიაქოთი დგას; მისვლა-მოსვლა, მხიარული ჟივილ-ხივილი.

პიონერებს არ შეუძლიათ დიდი ხნით დაშორდნენ სკოლას, მიატოვონ, რადგან ყველაფერს მოვლა და თვალყურის დევნება სჭირდება.

გაზაფხულზე გია ჯანჯღავამ და დემურ ქავთარაძემ ყურადღებით შეწამლეს ხეხილი.

მედეა გაჩეჩილაძემ სათბურში გამოიყვანა პამიდვრის, ბადრიჯნის, კიტრისა და საზამთრო-ნესვის ჩითილები, ხოლო ინეზა ქავთარაძემ ამ ჩითილებისათვის მიწა მოამზადა, გააფხვიერა, შეიტანა დამწვარი ნაკელი.

ვაზს ომარ მიქაძემ მოუარა. ფუტკრის სკასთან არნავაზ შაფათავა დაფუსფუსებდა.

კურდღლებსა და ბაჭიებს არ სცილდებიან ლიანა ჭკადუა და ცაცა ჩიქობავა. გამოულევლად აქვთ სამყურა, ჰიმინდის ღერღილი, მარილი.

— ჩემს ქოჩორას ოცდაათი წიწილი ჰყავს, — ამაყად ამბობს ნანული ჯანჯღავა.

პალიკო ჩიქობავამ კვადრატულ-ბუდობრივად დათესა სიმინდი, სხვებსაც მოეწონათ, ეს არის მათი მთავარი საამაყო. ერთ ჰექტარ მიწაზე 50 ცენტნერამდე სიმინდის მოსავალს ელოდებიან პიონერები.

იშრომეს, მოუარეს და მოსავალსაც სასიხარულო პირი უჩანს. ალბათ გამართლდება მათი მოლოდინი.

ოლია რევია

„მგლის ბუნაგის“ საიდუმლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

1958 წელს ვარშავის ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა: „სენსაცია რუციანაში“. „მას შემდეგ,— წერდა გაზეთი,—რაც ქალაქისათვის შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, ზოგიერთი უბანი მაინც განათებული იყო. დადის ხმები, რომ საიდუმლო ენერგიის წყარო მდებარეობს ჰიტლერის მიწისქვეშა ქალაქში, კენტშინის ახლოს, სადაც დიდი ხნის დუმილის შემდეგ თითქოს ამუშავდა ელექტროსადგური“.

მე იმ დღესვე გავემართე მაზურის ტყის რაიონში, სადაც კენტშინის პროვინცია მდებარეობს. ჯერ კიდევ ადრე მქონდა გაგონილი, ამ ადგილებში მიწისქვეშა ქალაქია გაშენებულიო, საიდანაც ოთხი წლის განმავლობაში ჰიტლერი საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა. ვარშაველი შოფერი იმ ადგილებში პირველად იყო. ყოველ მოსახვევში ამუხრუჭებდა და გულმოსული ბუზ. ღუნებდა. კენტშინის ახლოს გზა ვიკითხეთ.

— თქვენ საით? ჰიტლერთან თუ გერინგთან?

— როგორ? გერინგის ქალაქიც არსებობს?[1])

— არსებობს, უფრო პატარა. თუ დიდ ბუნაგში გინდათ მისვლა, მაშინ მარჯვნივ გაუხვიეთ, ფრთხილად იყავით, ტყეში ჯერ კიდევ ბლომადაა ნაღმები. გასულ კვირას ძროხა აქცია ნაკუწებად,—გვიყვირიან უკანიდან.

ტყეში ბეტონის მშვენიერი გზაა. აქეთ-იქით სიმაგრეთა ნანგრევები მოჩანს. უცებ ტყის მოედანზე გავდივართ. რუხი, უფორმო გიგანტები, ათასობით ტონა ბეტონი და ფოლადი, ფოლადი და ბეტონი რაღაც ზღაპრულ ურჩხულებივით არის დახვავებული. ეს არის სწორედ ის ადგილი, სადაც ჰიტლერის ცენტრი იყო აღმოსავლეთში საომარი მოქმედების დროს. „ვოლფშანც“—მგლის ბუნაგი—ასე უწოდეს გერმანელებმა ამ მიწისქვეშა ქალაქს, რომელიც საბჭოთა საზღვართან სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. ორმოცამდე რუხ, ცივ, გიგანტური ზომის კაზემატს მთლად დაუმახინჯებია ტყე. ბეტონის ეს გზა მას საიდუმლო აეროდრომთან და რკინიგზის სადგურთან აერთებდა ოდესღაც.

მკვდარი გიგანტები ძალზე მაღლა არიან აღმართულნი, ბარე ათობით მეტრზე მიწის დონიდან. მის წიაღში კი, როგორც ამბობენ, საიდუმლოებით მოცული, ტბის წყლით დაფარული მთელი მიწისქვეშა ქალაქია ჩამალული. მას შემდეგ, რაც გიგანტურმა აფეთქებამ ჰიტლერის ქალაქი ჰაერში აისროლა, აქ, ტბის ფსკერზე, სამხედრო ტექნიკის უდიდესი სასაფლაო აღმოაჩინეს—ტანკები, საბარგო მანქანები, მოტოციკლები. როდესაც ჰიტლერის ყველაზე საიმედო ჯარები ამ ტბის გაყინულ ზედაპირზე გადადიოდნენ, ჰაერში გამოჩნდა საბჭოთა თვითმფრინავები, ბომბების წვიმამ სულ დაამსხვრია ყინული და საუკუნოდ ტბის ფსკერზე ჩაიტანა უზომო სამხედრო ტექნიკა.

ახლა ტბის წყალი ბროლივით გამჭვირვალეა და კარგად მოჩანს მის ფსკერზე ჩახერგილი რკინა-ბეტონის საიდუმლო ჩასასვლელები.

ბეტონი აქ ცემენტისა და გრანიტის ნაფშვნეებისაგანაა დამზადებული, ფოლადიც უმაღლესი ხარისხისაა—დღემდე ჟანგი არ მოჰკიდებია. გავედით ერთი კაზემატიდან მეორეში. ვცდილობთ გავძვრეთ აფეთქებით გამონგრეულ ხვრელებში, მაგრამ ამაოდ. მალე ცხადი ხდება, რომ ერთ ადგილზე ვტრიალებთ. (ციტადელი აფეთქებული იქნა დიდი სიზუსტით, ისეთი ანგარიშით, რომ შემდგომ ვერავის მოეხერხებინა ბეტონის ქალაქში ჩასვლა. რამდენიმე ადგილზე საფეხურები ძირს მიემართება, მაგრამ, როგორც წესი, ყველაფერი ბეტონის ყრუ კედლთან მთავრდება. ყველაფერ ამას ზემოდან ხის კენწეროებზე გადაჭიმული, კვლავ აფარია რკინის, შესანიღბი ბადე.

ამბობენ, 1936 წელს ქუჩაში გამოჩნდა განცხადებები, სადაც სასწრაფოდ ითხოვდნენ სამუშაოზე: კალატოზებს, ელექტროტექნიკოსებს, მებეტონეებს... ათასობით ადამიანს დაუდეს მაშინ ხელშეკრულება, ჩასვეს მანქანებში და კენტშინისაკენ გაუყენეს გზას. ამავე დროს მოიყვანეს აქ პატიმრებიც. ტყე ეკლიანი მავთულებით შემოფარგლეს, მახლობელი სოფლები გადაასახლეს; ერთადერთ ავტობუსს, რომელიც ამ ადგილებში დადიოდა, ფანჯრები შავად ჰქონდა შეთითხნილი; ყველა მგზავრს სპეციალური საშვი უნდა ჰქონოდა ხელში.

დღე და ღამე, რამდენიმე წლის მანძილზე, ტყის სადგურში განუწყვეტლივ იცლებოდა მატარებლები. მიჰქონდათ ელექტრომოწყობილობა, ცემენტი, ფოლადი, მაგრამ

---

[1]) ამას წინათ გაზეთ „ნედელიაში“ გამოქვეყნდა ახალი ცნობა გერინგის მიწისქვეშა ქალაქის შესახებ. დღემდე ეს ქალაქიც საიდუმლოებით იყო მოცული, მაგრამ ახლა აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც რამდენიმე წელი გაატარა მიწისქვეშა ქალაქში. მან ზუსტად დახატა გერინგის ქალაქის გეგმა, მისი დერეფნები თუ ჩასასვლელები. 400-მეტრიანი დარბაზები რამდენიმე სართულად ყოფილა განლაგებული. იქ ამზადებდნენ „ფაუ-1“ და „ფაუ-2“ ტიპის იარაღს. ამავე დროს—თუთიის კედლებით დაფარულ დარბაზში რაღაც საიდუმლო ქიმიურ-ფიზიკური ლაბორატორიაც ყოფილა. ახლა პოლონეთის არმიის ნაწილები გაანთავისუფლებენ ებრძვიან წყალს, რომლითაც, აგერ, 15 წელია დაფარულია იქაურობა. წყლის დონე უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იკლებს და ალბათ რამდენიმე ხნის შემდეგ გერინგის მიწისქვეშა ქალაქს მთლად აეხდება საიდუმლოების ფარდა.

არავის უნახავს, რომ აქედან ერთი ვაგონი მაინც ხალხით დაბრუნებულიყოს უკან. ახლა ყოველ ნაბიჯზე სასაფლავეებია—უსახელო საფლავები. როდესაც მიწისქვეშა ბუნაგი უკვე მზად იყო, საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელთა თავდასხმის წინ, ფიურერმა ბერლინში თავისთან მიიწვია ინჟინერ-მშენებელთა დიდი ჯგუფი, მხოლოდ ამ ადამიანებმა იცოდნენ კენტშინის საიდუმლოება. მათ ჰიტლერისათვის პირადად უნდა მოეხსენებინათ სამუშაოთა დამთავრების შესახებ და მისთვის გასაღები და გეგმა გადაეცათ. მადლობის ნიშნად ჰიტლერმა ინჟინრებს ახლად გაშენებულ აეროდრომზე თვითმფრინავი გაუგზავნა. ინჟინრები მომავალი შეხვედრის ილუზიით ტკბებოდნენ, როდესაც საშინელმა აფეთქებამ ნაფოტებად აქცია ჰაერში ახლადაფრენილი თვითმფრინავი.

ლეგენდებით არის მოცული კენტშინის ტყე. ჰყვებიან საქაჩავების სისტემაზე, რომელიც ტბის ფსკერიდან ანკარა წყალს აწვდიდა ქალაქს; ელექტრო სადგურზე, რომელიც რაღაც გამოულეველ წყაროზე მუშაობდა; მიწისქვეშა საავადმყოფოზე; კოშკზე, რომელიც დროდადრო ტბიდან ამოვიდოდა ხოლმე. ჰყვებიან უდიდეს სიმდიდრეზე, რომელიც ელის ადამიანს მიწისქვეშა ქალაქში.

რაა მართალი და რაა ტყუილი ამ ლეგენდებიდან, ძნელია თქმა. რა იმალება ტყის ქვეშ, რა იმალება წყლით დაფარულ ბეტონის გვირაბებსა და სარდაფებში? — ამაზე პასუხის გაცემა ჯერ ძნელია.

1944 წელს საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად ჰიტლერი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ბუნაგი. მას შემდეგ, მალე, იქაურობა საშინელი გრიალის ხმამ გააყრუა. ათასობით ტონა ტროტილმა, რომელიც წინასწარ იყო ჩაწყობილი მიწისქვეშა თავშესაფრებში, ერთი ხელის დაკვრით დაბზარა, დაამსხვრია და ნახევრად ამოატრიალა ბეტონის ქალაქი. ხელოვნური ტყე, როგორც თეატრის დეკორაცია, თავს დაექცა ჩალეწილ მიწისქვეშა ქალაქს. მეზობელ ტბიდან იშხუვლა წყალმა და რამდენიმე წუთში მთლად დაფარა ეს ჯურღმული.

ჰიტლერის ქალაქი საუკუნოდ დაიმარხა.

(ჟურნალიდან „ვოკრუგ სვეტა“)

ი. გრიგორესკუ

რატომ ვამბობთ ასე...

რვეული

დღეს ქართულში ასე რიგად გავრცელებული ეს სიტყვა წარმომდგარია რიცხვითი სახელისაგან—„რვა“, რომელსაც დართული აქვს „ეულ“ ბოლოსართი, იმგვარად, როგორც შვიდისაგან არის მიღებული შვიდეული, ათისაგან ათეული. ეს იმიტომ მოხდა, რომ რვეული ძველად მხოლოდ რვა ფურცლისაგან მზადდებოდა.

დღეს ფურცლები რვეულში 12, 40, 100 — და მეტიც არის, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება ენაში, სახელი მას მაინც ძველი დარჩა.

ფერხული

ფერხული ერთ-ერთ გავრცელებულ ქართულ გუნდურ ცეკვას ჰქვია. მოცეკვავენი წრეს ჰკრავენ, და მკლავებგადაჯდომილნი ფეხებისა და ტანის მწყობრი მოძრაობით მიჰყვებიან მუსიკის რიტმს.

„ფერხული“ ცეკვას, როგორც ჩანს, იმიტომ დაერქვა, რომ ამ ცეკვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისებაა ფეხების მოძრაობა. ფეხი კი ძველად გამოითქმებოდა როგორც „ფერხი“.

ფეხის აღმნიშვნელი ეს სიტყვა საფუძვლად დასდებია მისგან ნაწარმოებ სხვა სიტყვას — საფერხეს, რაც გარეული ცხოველის დასაჭერ ხაფანგს ეწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი მეგობრობაზე

„პიონერი მაგალითია ყველა ბავშვისათვის, იგი კარგი ამხანაგია, ზრუნავს უმცროსებზე, ეხმარება უფროსებს“.

ნორჩ პიონერთა საფეხურებიდან.

ახლა შენ წითელი ყელსახვევი გამშვენებს მკერდს, შენ უკვე დიდი და მეგობრული პიონერული კოლექტივის რაზმეულის წევრი ხარ და იცი, რომ პიონერი მაგალითია ყველა ბავშვისათვის, იგი კარგი ამხანაგია, უმცროსებზე ზრუნავს და ეხმარება უფროსებს... რომ პიონერი მეგობრობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვებთან... მეგობრობა თავისთავად წარმოქმნილი და ისეთი რამე როდია, რომელსაც თავისთავად შეუძლია შემდეგ არსებობა. მეგობრობა ძალზე კეთილშობილური და მაღალი გრძნობაა და მას ისევე ჭირდება გაზრდა და სათუთი ყურადღება, როგორც გაზაფხულზე ახლად გაშლილ ყვავილს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი აქვს ეს კეთილშობილური გრძნობა სათანადოდ შეთვისებული. ამაში ერთმა შემთხვევამ დამარწმუნა, რომელიც ახლა მინდა გიამბოთ.

ამ ზამთარს თბილისში რომ მოთოვა, მთაწმინდაზე ასვლა განვიზრახე. ტრამვაი არ მუშაობდა და ცოტა ფიქრის შემდეგ ფეხით ასვლა გადავწყვიტე, მით უმეტეს, რომ წინ ათამდე, ასე, 14-15 წლის ბიჭი, ხორხოცითა და ჟივილ-ხივილით მიიკვლევდა გზას დათოვლილ ბილიკებზე.

შუა გზას რომ გავცდი, უცებ, ბუჩქის ძირას ჩამჯდარ ბავშვს წავადექი თავზე. რაღაც უხერხულად იჯდა, მოთენთილი, ფერდაკარგული. მივედი, ხელი მოვკიდე. მისმა გაფითრებულ-

მეგობარი! მოგონების რამდენი დაუვიწყარი ფურცელი გაიელვებს ხოლმე ჩვენ თვალწინ ამ სიტყვის წარმოთქმისას.

ხომ გახსოვს მათი სახელები? გურამი, მზია, ქეთინო, ზაზა, თენგიზი, თინა... ბევრი მათგანი ამ რამდენიმე წლის წინათ შენთან ერთად მიუჯდა სასკოლო მერხს და ახლაც შენს კლასში სწავლობს. პირველი ნამდვილი მეგობრობა შენ უთუოდ სკოლაში იგრძენი. იქ შენ ბევრი მეგობარი შეიძინე და ახლა, ალბათ, გაგიჭირდა ყველა მათგანის ჩამოთვლა, მაგრამ მოდი ზოგიერთი მაინც გავიხსენოთ.

აი, თუნდაც ციალა და გია, შენი ავადმყოფობის დროს თითქმის ყოველდღე რომ მოდიოდნენ შენს სანახავად, მოჰქონდათ ახალი წიგნები, გიყვებოდნენ სკოლაში მომხდარ ამბებს, გართობდნენ, გაცინებდნენ. მაშინ შენ უფრო მეტად იგრძენი მეგობრობის ძალა და ყოველთვის მზად იყავი მეგობრული დახმარება აღმოგეჩინა განსაცდელში ჩავარდნილი ამხანაგისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მა სახემ უცებ ამიხსნა ყოველივე. ცხადი იყო: ბავშვს გული არ ჰქონდა რიგზე და აღმართში, სწრაფად სიარულში დასუსტებულიყო. თოვლით დავუზილე საფეთქლები, გავამხნევე, კარგა ათი წუთი ვეწვალე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, შემდეგ დადაჯს დავუძახე, აქეთ-იქიდან მხრებში შევუდექით და ქვემოთ დავეშვით. ფეხი ცურდებოდა თოვლზე, ოფლი გვდიოდა, გაჭირვებით ვეშვებოდით ძირს, ზემოდან კი უკვე პლატოზე ასული ბავშვების სიცილ-კისკისი გვესმოდა. როგორც იქნა, დიდი ვაი-ვაგლახით ქვედა სადგურს მივაღწიეთ და ბავშვი საავადმყოფოში წავიყვანე.

თანამგზავრები? ამხანაგები? — იკითხავთ გაკვირვებით. ამხანაგებს, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანაკლასელის გამოკლება, მაგრამ მეგობრის დახმარებას შეჯიბრი არ ჩრეს — ვინ უფრო სწრაფად ავა პლატოზეო.

კარგია, რომ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, ადვილი შესაძლებელი კი იყო, რომ მეგობართა უგულისყურობა ადამიანის სიცოცხლის ფასად დამჯდარიყო.

იმ სკოლაში, სადაც ეს ბავშვები სწავლობენ, ზოგიერთებმა არ იციან ნამდვილი მეგობრობა. ეს ამბავი რომელიც ახლა გიამბეთ, იშვიათი გამონაკლისია, მაგრამ ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როდესაც მოსწავლეები არამეგობრულად, არაგულისხმიერად ექცევიან ერთმანეთს.

განა ცხადი არ არის, რომ მეგობრულ კოლექტივში არაფერი ამის მსგავსი არ უნდა მოხდეს. კოლექტივის ყოველი წევრი პასუხისმგებელია მთელი კოლექტივის წინაშე. მათი ურთიერთ დამოკიდებულება უბრალო მეზობლური დამოკიდებულება როდია. თითოეულ მათგანს უფლება აქვს და უნდა შეეძლოს უბრძანოს ან დაემორჩილოს ამხანაგს, მტკიცედ დაიცვას თავისი აზრი ან დაუთმოს მას, როცა ამას მომენტი და საჭიროება მოითხოვს. კოლექტივის ყოველი წევრი დარწმუნებულია, რომ მას დაიცავს და გაუფრთხილდება არა მარტო მთელი კოლექტივი, არამედ მისი თითოეული წევრი, თითოეული ამხანაგი, ნამდვილმა მეგობრობამ არ იცის გულგრილობა განსაცდელში ჩავარდნილი ამხანაგის მიმართ, მისთვის უცხოა შურიანობა, ამპარტავნობა, სიძუნწე და ეგოიზმი.

როდესაც ამ ამბავს ვიხსენებ უნებლიეთ მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელიც საავადმყოფოში მოხდა.

საავადმყოფოს ჩვეულებრივი სიმყუდროვე გოგონების ჟრიამულმა დაარღვია, თუმცა ისინი წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი მეტი თავშეკავება გამოეჩინათ. ზოგიერთ პალატაში უკვე ეძინათ, მაგრამ გოგონებს აბა რა გააჩერებდათ, ყველას ეჩქარებოდა, ფუსფუსებდნენ, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ...

სასწრაფო დახმარების მანქანით იმ დღეს საავადმყოფოში ვაკის საბავშვო სახლის აღსაზრდელი ანეტა მენთეშაშვილი მიიყვანეს მისმა მეგობრებმა. რამდენიმე წუთის წინათ, როდესაც საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა უმეტესობას უკვე ეძინა, მათი მეგობარი მოულოდნელად ცუდად შეიქნა. მწვავე ტკივილებმა უცნაურად გამოუცვალა მას სახე. თვალის დახამხამებაში გოგონებმა ანეტას საწოლთან მოიყარეს თავი, მათ ჩოჩქოლზე მეზობელ ოთახებიდანაც მოირბინეს და ხმადაბალი ჩურჩულით, ისე, რომ ანეტას არ გაეგონა, სასწრაფო გადაწყვეტილებაც მიიღეს. საავადმყოფოს მისაღებ ოთახშიც არ მოსცილებიან ავადმყოფ მეგობარს ნუნუ უზნაძე, თამარ ხაჩიკაშვილი და ინესა მარღიშვილი. თუმცა ღამის მორიგე ექიმებმა ანეტას ავადმყოფობაში საშიში ვერაფერი ნახეს, გოგონებმა დაბეჯითებით მოითხოვეს, იმ ღამით მაინც დარჩენილიყო მათი მეგობარი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. ანეტა საავადმყოფოში დააწვინეს და, აბა, ავადმყოფ ამხანაგს ვინ მოაკლებდა მეგობრულ სითბოს! იმ ერთი კვირის განმავლობაში, ანეტამ რომ საბავშვო სახლის გარეთ გაატარა, მთელი კოლექტივი ფიქრობდა და ზრუნავდა მასზე და გოგონას ერთი წუთითაც არ უგრძვნია მარტოობა.

რაოდენ კეთილშობილურია ვაკის საბავშვო სახლის აღსაზრდელთა საქციელი, რა ბევრს მეტყველებს იგი გოგონებისა და ბიჭების მეგობრობაზე.

გ. ნადარეიშვილი

ნუტრია

ინგლისის, გერმანიის და სამხრეთ ამერიკის ტბებში, ჭაობებსა და ნახევრად ჭაობებში, მდორე მდინარეთა ნაპირებზე ხშირად შეხვდებით ისეთ ცხოველს, რომელიც თავისი გარეგნობით უზარმაზარ ვირთაგვას მოგაგონებთ. მას ნუტრიას უწოდებენ. მისი სხეული დაფარულია ბეწვით, რომელიც ზურგზე ბაცი ყავისფერია, მუცლის მხარეზე კი მოყვითალო გადაჰკრავს. ნუტრიას სიგრძე 80 სანტიმეტრს აღწევს; თავი დიდი აქვს, თვალები პატარა, ყურები მოკლე, ულვაშები თეთრი, ხოლო საჭრელი კბილები მუქი ნარინჯისფერისა.

ნუტრია უკანა თათების თითებს შორის გაბმული აპკისა და გრძელი კუდის დახმარებით კარგად ცურავს.

სიტყვა «ნუტრია» ესპანურია და წავს ნიშნავს, თუმცა ნუტრია წავი არ არის. ნუტრიას პირველად «წაულა» ერქვა.

ნუტრია ხუთი თვის ასაკში იწყებს გამრავლებას და წელიწადში ორ თაობას იძლევა. შობს 5-6 შვილს, მათ რძით კვებავს. სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით, ნუტრიას სარძევე ჯირკვლები ზურგთან ახლოს აქვს განლაგებული.

ნუტრია კარგად გრძნობს თავს როგორც 30 გრადუსიან სითბოში, ისე 15—20 გრადუსიან ყინვაში. მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა 7—9 წელს



არ აღემატება. ეს ძვირფასი ბეწვის მქონე პატარა ცხოველი საქართველოში პირველად 1932 წელს შემოიყვანეს არგენტინიდან და გამრავლების მიზნით შავი ზღვის პირას, ფოთის მახლობლად გაუშვეს. კარგად შეეგუენ ნუტრიები ინკიტისა და ბებერისის ტბების პირობებსაც (გალისა და ოჩამჩირეს რაიონებში); ნუტრიებს არც თბილისის გარეუბნები ეჯავრებათ და სულ მალე ისე გამრავლდნენ, რომ 1936 წლიდან შესაძლებელი გახდა მისი სარეწად გამოყენება.

ნუტრიის ბეწვი მსუბუქი, თბილი და განსაკუთრებულად რბილია. იგი თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება წავის, თახვის, სიასამურის ბეწვს. ნუტრიის ბეწვისაგან ამზადებენ საუცხოო საყელოებს, ქუდებს. ეს ბეწვი «მაიმუნის ბეწვად» არის ცნობილი. და განა მარტო ბეწვი, ნუტრიის ხორციც გემრიელია და კარგ საკვებს წარმოადგენს.

შეიძლება ბევრი თქვენგანი უკვე იცნობს ამ ცხოველს და კარგი იქნება თუ მას მოაშენებთ თქვენს სასკოლო ფერმებში, ამით თქვენ და თქვენი სკოლის რაზმეული გარკვეულ წვლილს შეიტანთ «პიონერულ ორწლედში“.

ს. ელიზბარაშვილი

ყვავილთა დედოფლის ველური წინაპარი

ყვავილთა დედოფალს—ვარდს ეძახიან, ხოლო მის ველურ წინაპარს—ასკილს.

ასკილი ეკლიანი, ბუჩქოვანი მცენარეა. მისი ღერო მაღალია და იმდენად წვრილი, რომ ჰაერის ოდნავ მოძრაობასაც კი შეუძლია მისი შერხევა.

ადამიანმა უძველესი დროიდანვე მრავალ სამკურნალო მცენარეს მიაგნო, მათ შორის—ასკილსაც. ძველი ბერძნები ასკილს «როზა კანინას» ანუ «ძაღლის ვარდს» ეძახდნენ, იმის გამო, რომ მას ცოფიანი ძაღლის დაკბენილთა სამკურნალოდ იყენებდნენ.

ძველი საბერძნეთის გენიალური ექიმი ჰიპოკრატე ასკილის ნაყოფს მრავალ დაავადებათა საწინააღმდეგოდ იყენებდა.

ასკილის ნაყოფი ოქროზე ძვირად ფასობდა. იცვლებოდა ატლასებსა, ხავერდსა და ნოხებში.

XVI-XVII საუკუნეებში ორენბურგის სტეპებში ასკილის შემგროვებლებს შეიარაღებული მცველების თანხლებით აგზავნიდნენ. ასკილის ნაყოფის შეგროვების უფლება მეფეს უნდა მიეცა.

ასკილის ნაყოფს კრეფენ შემოდგომაზე, დამწიფების წინ. აგროვებენ, აშრობენ და აბარებენ ფარმაკოქიმიურ ქარხნებსა და სააფთიაქო სამმართველოებს. ფარმაკოქიმიურ ქარხნებში ასკილის ნაყოფიდან ამზადებენ «ასკილინისა» და «ხოლოსინის» «ცე» ვიტამინებით მდიდარ პრეპარატებს. «ასკილინს» სურავანდის, ცინგის ანუ სკორბუტის წინააღმდეგ, ხოლო «ხოლოსინს» ღვიძლის სამკურნალოდ იყენებენ.

ასკილის ნაყოფის გამონახარში წვენი ხელს უწყობს და აჩქარებს ჭრილობების შეხორცებას. ამ მხრივ ასკილმა თავი ისახელა მეორე მსოფლიო ომში დაჭრილ საბჭოთა მეომრების მკურნალობის საქმეში.

ასკილის ფესვების გამონახარში წვენი საუკეთესო ზანგელა ანუ შავმოყვითალო ფერის საღებავია.

საბჭოთა კავშირში ასამდე სხვადასხვა სახის ასკილი ხარობს და ნაყოფს იძლევა.

ასკილის ნაყოფის შეგროვება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება მეტად სასარგებლო, სახალხო მნიშვნელობის საქმეა.

ბავშვი, რომელიც ყოველდღიურად ერთ ჭიქა ასკილის ნახარშს შესვამს, იქნება ჯანმრთელი, ხალისიანი, ძლიერი მეხსიერების, რაც ხელს შეუწყობს მას სწავლასა და შრომაში.

ანა ნემსაძე

კროსვორდი ნახატებში

სცადეთ, აქ მოცემულ ნახატების სახელების მიხედვით შეავსოთ ეს კროსვორდი.

შეადგინა და დახატა
ვ. ნიკოლაიშვილმა

გამოცანები

1

დადის და დარბის, ხე დააქვს თავით,
ხე არას ისხამს, პატრონი ბღავის.

კუდიანებს დასდევს,
ათრეული კუდით,
ტახტქვეშ დაიჭირა
ავაზაკი, ქურდი.

გ. წერეთელი

პასუხი კროსვორდზე

ვერტიკალურად: 1. „პარაშა“; 2. ევბეა; 3. მედეა; 4. საყვარელიძე; 5. „ანა კარენინა“; 8. დინარი; 9. კვარტი; 18. რაფაელი; 21. ვანი; 22. ისლი.

ჰორიზონტალურად: 6. „ვალენშტეინი“; 7. ჭვავი; 10. სკამი; 11. სიავე; 12. ანკარა; 13. ორიოლი; 14. კასრი; 15. „რეალი“; 16. ანწლი; 17. სირია; 19. უძო; 20. ანი; 21. ვაფლი.

გამოცანები

1. თითისტარი; 2. პეპელა; 3. ობობა.

ვერტიკალურად:

















ჰორიზონტალურად:





ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ დედამიწაზე

ბუფერის ნაცვლად სათადარიგო ბორბალი

გამოჩენილი ჩეხი მოგზაურები განზელკა და ზიკმუნდი გაოცებულები ჰყვებიან არგენტინელ ავტომძღოლთა უცნაური ჩვევებზე: ბუენოს-აირესის ქუჩებში რომ მანქანა დააყენონ, სავსებით უცერემონიოდ, ბუფერით მისწევ-მოსწევენ სხვის მანქანებსო. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ მოქმედებს ეს მანქანების გარე სახეზე.

მაგრამ ავტომობილს, რომელსაც თქვენ სურათზე ხედავთ, არგენტინელთა ამ ზნეჩვევის არ ეშინია. ერთმა ფრანგმა ინჟინერმა ბუფერის ადგილზე სათადარიგო თვალი ჩადგა: უჩვეულო, უხიფათო და თანაც იაფი.



საერთაშორისო პროექტები

ხელოვნურმა თანამგზავრებმა უხილავი მაგისტრალები გაიყვანეს კოსმოსში. ეს მაგისტრალები უნდა დაეხმარონ დედამიწის ყველა კონტინენტის ურთიერთდაკავშირებას სატელევიზიო გადაცემათა საშუალებით. ამჟამად, მომავალ ოლიმპიურ თამაშობებთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარდება ტოკიოში 1964 წელს, გამოჩნდა მთელი რიგი ახალი პროექტები. იაპონიაში განსაკუთრებული მსჯელობაა გამართული სატელევიზიო კავშირის ოთხი პროექტის გარშემო.

ყველაზე საუკეთესოდ ითვლება პირველი პროექტი, რომლის მიხედვითაც, რამდენიმე ათასი კილომეტრის სიმაღლეზე უნდა აშვებულ იქნას თორმეტი თანამგზავრი. მათ უნდა მიიღონ დედამიწიდან ტელესიგნალები, აირეკლონ ისინი და ამით განახორციელებენ ტელეგადაცემებს რამდენიმე ათას კილომეტრზე.

მეორე პროექტით, სამი თანამგზავრი, მიმღები და გადამცემი აპარატურით, უნდა ავიდეს 36 ათას კმ. სიმაღლეზე. მათი კუთხური სიჩქარე უნდა უდრიდეს დედამიწის ბრუნვის კუთხურ სიჩქარეს. ამიტომ ისინი ერთგვარად „მიეჯაჭვებიან“ დედამიწის სფეროს განსაზღვრულ წერტილებს. თანამგზავრების აპარატურა დედამიწიდან მიიღებს ტელესიგნალებს, გააძლიერებს მათ და გაგზავნის სხვადასხვა ქვეყანაში.

მესამე პროექტის მიხედვით 20 კმ. სიმაღლეზე გაიშლება საჰაერო ბურთების ჯაჭვი. ტელესიგნალები ერთი ბურთიდან მეორეს გადაეცემა და აირეკლება დედამიწისაკენ.

მეოთხე ვარიანტი წმინდა „მიწიერია“. ზღვის ფსკერზე გაიყვანება სატელევიზიო კაბელები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს ტელესიგნალების გადაცემა ერთი კონტინენტიდან მეორეზე.

თუ ამ პროექტებიდან ერთ-ერთი მაინც განხორციელდება, იაპონიიდან ათასეული კილომეტრით დაშორებულ ადამიანებსაც კი საშუალება მიეცემათ უყურონ XVII ოლიმპიურ თამაშობებს.

კალოლო

წყნარ ოკეანეში, კუნძულ სამოასთან, ზღვის ფსკერზე ცხოვრობს ერთგვარი ჭია, რომელსაც პოლოლოს უწოდებენ. ამ ჭიის საოცარი გამრავლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ზღვის მოქცევასა და მთვარის ფაზებზე. ყოველწლიურად ოქტომბერ-ნოემბერში იგი ორად იყოფა. პალოლოს ერთი ნახევარი ფსკერზე რჩება, ხოლო მეორე ნახევარი, კვერცხებით დატვირთული, ამოდის ზღვის ზედაპირზე, სადაც ხდება მისი გამრავლება. პალოლოს ეს ნახევრები ყოველთვის იმ დღის დილით დაცურავენ, როცა მთვარე მიაღწევს თავის უკანასკნელ მეოთხედს. იმ დღეებში ზღვის ზედაპირზე აურაცხელი ჭია ფუთფუთებ ჭიებისა და მათი კვერცხების სიუხვისაგან ზღვა რძისფერი ხდება.

მსოფლიოს ტელეფონებთან

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ბროშურა „მსოფლიოს ტელეფონები“. იგი საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს. 1959 წლის ბოლოსათვის მთელ მსოფლიოში 133 600 000 ტელეფონი იყო, 9 მილიონით მეტი, ვიდრე წინა წელს და ორჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს. ყველაზე უფრო მოლაპარაკენი აღმოჩნდნენ კანადისა და ისლანდიის მცხოვრებლები. კანადაში თითოეულ ტელეფონზე ერთი წლის მანძილზე მოდიოდა 530 ლაპარაკი, ისლანდიაში — 508,

ბრტყელი ბორბალი

ავტომანქანების მძღოლთა განუწყვეტელი საზრუნავია სათადარიგო საბურავი, რომელიც მუდამ მზად უნდა ჰქონდეთ.

ახლახან ამერიკაში გამოუშვეს სათადარიგო, დროებითი ბორბლები, რომლებიც რკინის დისკზე მკვრივად შემოყოლებული რეზინით ეხებიან გზას. მიუხედავად იმისა, რომ საბურავის სიგანე უმნიშვნელოა, მხოლოდ 2 სანტიმეტრია, იგი თავისუფლად უძლებს 800 კილომეტრამდე გზას.

ფუტკარი — გველზე საუიში

ჩვენ ერთხელ უკვე მოგიყევით გამოჩენილი მოგზაურის ლუის კოტოლოუს წიგნზე —„ზანზაბეკუ“ („პიონერი“ № 8, 1960 წ.). ამ წიგნში კოტლოუ აღწერს ვინმე ალან ტარტლონის უცნაურ ხელობას — იგი შხამს აცლის გველს. ცნობილია, რომ გველის შხამი საკმაოდ ძვირად ფასობს. მისგან წამლებს ამზადებენ და ალბათ სწორედ ამან მოაკიდებინა ხელი მას სახიფათო ხელობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი სიფრთხილით და ოსტატობით ატარებს შხამის ამოღების მთელ პროცესს (ხშირად დღეში ოთხასს!), ცხრამეტჯერ მაინც გახდა გველის ელვისებური კბენის მსხვერპლი. მაგრამ ყველა შემთხვევაში მას გველის შხამის საწინააღმდეგო ვაქცინა გაუკეთეს და იგი სიკვდილს გადარჩა. ტარტლონის ორგანიზმმა თანდათანობით სულ მეტი და მეტი იმუნიტეტი გამოიშუშავა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ახლა მისთვის ფუტკრის ან სხვა მწერის ნაკბენია მომაკვდინებელი, რადგან საკმარისია სისხლში მოხვდეს ჭიანჭველამუავა, ორგანიზმი მას ვეღარ უძლებს.

რადიოგადამცემი—ცხვრის ზურგზე

ავსტრალიაში 100 მილიონზე მეტი ცხვარია. მრავალრიცხოვანი ფარები მოფანტულია ყველგან, მათი მეთვალყურეობა კი ძალზე ძნელია. ამიტომ აქ შემდეგი საშუალება გამოიყენეს: მწყემსი შეცვალეს პატარა რადიომიმღებით. იგი ღვედებს საშუალებით მაგრდება ფარის მეთაური ცხვრის ზურგზე და პერიოდულად გზავნის ეთერში სიგნალებს. ამ უმარტივესი რადიოგადამცემის საშუალებით ფერმერს შეუძლია გაიგოს, სად უნდა ეძებოს ფარა,

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина,
№ 9 1961 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 3—81—85
ასსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85
უგ 00084 ტირ. 18.300. პირ. ფორ. რაოდ. 4½. ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 28/VIII-61 წ. სტამბის შეკვ. 1431. გამომც. შეკვ. 376. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის ბ/კ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 20 კაპ. |

ᲥᲕᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲛᲐᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი-ხუმრობები
ე. ამბოკაძისა.

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔ

ᲮᲐᲥᲐᲜᲔᲚᲐ



ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲜᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲐᲜᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ

ბ108/288

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი 9
1961